შინაგან საქმეთა სამინისტრო
2013-2014 წწ. საქმიანობის ანგარიში

შსს-ს დეპოლიტიზება და რესტრუქტურიზაცია

- 2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. დეპოლიტიზება ითვალისწინებდა პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურების ნაცვლად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალდამცავი სტრუქტურების შექმნას;
- 2012 წლის ნოემბერში სამინისტროს სისტემაში პოლიტიკისა და დაგეგმვის პროცესების ინსტიტუციონალიზაციის, რეფორმების განხორციელებისა და მათი მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა რეფორმებისა და განვითარების სააგენტო;
- 2012 წლის ნოემბერში გაუქმდა კუდ-ი და სოდ-ი. შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები. შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი;
- შს მინისტრის 2013 წლის 12 სექტემბრის N713 ბრძანება „არჩევნების პერიოდში შსს–ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ავალდებულებს შსს–ს თანამშრომლებს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის დაცვას;
- 2013 წლის 31 დეკემბრის N999 შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა არჩევნების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია. ინსტრუქციის მიზანია შსს–ს თანამშრომელთა მხრიდან დაცულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის ორგანოებისადმი წაყენებული ნეიტრალურობის დაცვის ვალდებულება. ინსტრუქცია განუმარტავს თანამშრომლებს საარჩევნო პროცესში მათთვის დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, ასევე პასუხისმგებლობის იმ ზომებს, რომელიც აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში კანონითაა გათვალისწინებული;
- 2013 წლის დეკემბერში, შსს-ს მენეჯერული და ფინანსური საქმიანობის კონტროლის დახვეწის მიზნით, სამინისტროში შეიქმნა შიდა აუდიტის მთავარი სამმართველო;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გამოეყო საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურულ დანაყოფად;
- შსს-ს ადმინისტრაციას გამოეყო და დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო.

სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა

- 2013 წლის მაისში შეიქმნა მობილური აპლიკაციის სერვისი. აღნიშნულის საშუალებით, დაინტერესებული პირები მობილური ტელეფონით ეცნობიან ახალ ამბებს, საგზაო მოძრაობის წესებსა და სხვა მონაცემებს, იხდიან ჯარიმებსა, სავიზო განაცხადის საფასურს და ა.შ.;
- 2014 წლის დასაწყისში შსს–მ საზოგადოებას ტრადიციულად წარუდგინა სისტემის განვითარების სტრატეგია;
- 2014 წლის 5 აპრილს, შს მინისტრის ბრძანებით საჯარო ინფორმაციის სამსახურის ნაცლად შეიქმნა საჯარო ინფორმაციის სამმართველო; 2014 წლის აპრილში მომზადდა საჯარო ინფორმაციის ახალი ვებ-გვერდი, რომელიც მორგებულია 2013 წლის 26 აგვისტოს №219 მთავრობის დადგენილების პუნქტებზე და შესაბამისად გაიწერა მენიუები და ნავიგაციის პანელები;
- 2014 წლის მაისიდან გასაჯაროვდა ახალი მეთოდოლოგიით გამოთვლილი, უფრო მეტად დეტალიზებული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები;
- განახლდა სამინისტროს ვებ-გვერდი www.police.ge. ახალი ვებ-გვერდი უფრო მოქნილია და სრულად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებსა და მომხმარებელთა ინტერესებს;
- სამინისტროში დაინერგა ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის სისტემა. საჯარო ინფორმაცია უწყვეტ რეჟიმში, პროაქტიულად ქვეყნდება შესაბამის ელექტრონულ რესურსზეც;
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. 2013 წლის 15 აგვისტოს, მთავრობის დადგენილებით შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა შს მინისტრი. კომისიას დაევალა შსს-ს სისტემაში აღმოჩენილი უკანონოდ მოპოვებული მასალის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, ანალიზი, განადგურების ან/და დაარქივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- შსს–ს მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიღების შედეგად სისხლის სამართლის კოდექსში გამკაცრდა პასუხისმგებლობა პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე. პროექტის ექსპერტიზაში, ასევე ჩართული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი;
- ყურადღება ეთმობა სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები ჩართული იყვნენ შსს-ს მიერ არაერთი კანონპროექტის შემუშავების პროცესში (მათ შორის, „პოლიციის შესახებ კანონი“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი და სხვა);
- სახელმწიფოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის უკეთ რეგულირების მიზნით, 2013 წლის 19 დეკემბერს გამოიცა და 2014 წლის მარტიდან ამოქმედდა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში

პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" შინაგან საქმეთა მინისტრის N967 ბრძანება. ინსტრუქციით გათვალისწინებული დებულებები, ერთი მხრივ, ეყრდნობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და მეორე მხრივ, „პოლიციის სფეროში პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულირების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის №R(87)15 რეკომენდაციას. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ინსტრუქციის პროექტი ექსპერტიზისთვის გაეგზავნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს;

- 2014 წლის 15 თებერვალს ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს შსს აკადემიასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს შორის. მემორანდუმი მიზნად ისახავს შსს მოსამსახურეთა ინფორმირებას და მათი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, ასევე სამინისტროს სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფას ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების დაგეგმვითა და განხორციელებით;
- შსს-ს აკადემიასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში და შს მინისტრის N967 ბრძანების საფუძველზე, ინსტრუქციის იმპლემენტაციისთვის შსს მოსამსახურეების უკეთ მოსამზადებლად და ზოგადად, პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის საკითხებზე მათი ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად, 2014 წლის თებერვალში, ინსტრუქციის ძალაში შესვლამდე, შსს აკადემიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისა და შსს-ს წარმომადგენლებმა ჩაატარეს ერთობლივი ტრენინგები. ტრენინგებზე სათანადო მომზადება გაიარა შსს ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელმა;
- 2014 წლის ოქტომბერში შს მინისტრის ბრძანებით ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოში შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფი, რომლის ფუნქციად განისაზღვრა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება, სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდული შემოწმებების განხორციელება, პერსონალური მონაცემების დაცვის/დამუშავების საკითხებზე სამინისტროს თანამშრომელთა ტრენინგი და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არასტანდარტულ შემთხვევების განიხლვა და გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;
- შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფმა მოახდინა სამინისტროში არსებული პერსონალურ მონაცემთა შემცველი ფაილური სისტემების იდენტიფიცირება, რასთან დაკავშირებითაც მომზადდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული პერსონალური მონაცემების

შემცველი ფაილური სისტემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ შს მინისტრის ბრძანების პროექტი;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფის მიერ შემუშავდა და 2014 წლის 23 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1035 ბრძანება ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უსაფრთხოების ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“. ბრძანებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების გათვალისწინებით, მოწესრიგდა სამინისტროს მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენების საკითხი;
- ჯგუფის მონაწილეობით, 2014 წლის 15-29 დეკემბერს, პოლიციის აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის 284 წარმომადგენელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმების დახვეწა

- სამინისტრო ყოველდღიურად, სხვადასხვა მედია საშუალებით, საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას სამინისტროში მიმდინარე სიახლეებზე, დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებსა და პროექტებზე, ასევე ქვეყანაში მომხდარ სხვადასხვა სახის დანაშაულზე, საგანგებო სიტუაციასა და უბედურ შემთხვევაზე;
- 2013 წლის დეკემბერში შსს-ს ადმინისტრაციის რეორგანიზაციის შედეგად, ცალკე სტრუქტურულ დანაყოფად ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში შეიქმნა ორი სამმართველო: მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო. შესაძლებელი გახდა ფუნქციებისა და მოვალეობების დელეგირება. საქართველოს ყველა რეგიონში დაინიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელიც სამინისტროს ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ;
- 2013 წლის მარტში, შსს-ს ადმინისტრაციაში შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია სამინისტროს იმიჯის ფორმირებაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაზე;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა ღია და გამჭვირვალე სტრუქტურად. სამსახურის თანამშრომლების საკონტაქტო მონაცემები განთავსდა ღია, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ რესურსებზე (მაგ. Facebook);
- მედიის წარმომადგენლებისთვის რეგულარულად იმართება ბრიფინგები;

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მუშაობა მოვიდა კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში. შესაბამის ვიდეომასალებზე მოქალაქეთა სახისა და მათი გვარების დაფარვით დაცული იქნა დაკავებულის კანონით უზრუნველყოფილი უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- 2013 წლიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოქალაქეთა საინფორმაციო მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას – ახდენს ელ-ფოსტაზე შემოსულ წერილებზე რეაგირებას, მათ სისტემატიზებას, აღრიცხვას და კატეგორიზაციას;
- მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებისთვის შემუშავდა FAQ (ხშირად დასმული 300-მდე კითხვა-პასუხი განთავსდა შსს-ს ვებ-გვერდზე, ოფიციალურ facebook-ის გვერდზე და მობილურ აპლიკაციაში „საჭირო ინფორმაციის“ კატეგორიაში);
- შს სამინისტროს საქმიანობაში მოქალაქეთა ელ-ჩართულობის გაზრდის მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა ვებ–გვერდის პარალელურად აპლიკაცია „გვითხარით, როგორ გემსახუროთ უკეთ“ განათავსა ინტერაქტიურ პლატფორმაზე, facebook-ის ოფიციალურ გვერდზე. facebook–ის ოფიციალურ გვერდზე ამ აპლიკაციის ინტეგრირება მოხდა სახელწოდებით „განსაზღვრე პრიორიტეტი“. მოქალაქეთა ინიციატივები წერილის სახით შემოდის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე;
- 2014 წლის მარტიდან, შსს–ს ელ.ფოსტაზე miapr@mia.gov.-ge მიმდინარეობს მოქალაქეთა გამოკითხვა. აღნიშნული მიზნად ისახავს წერილებზე გაცემული პასუხების მიხედვით მათი კმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხის დადგენას და შედეგის მიხედვით მომსახურების გაუმჯობესებას. გამოკითხვა გაგრძელდა 2014 წლის ბოლომდე;
- შს სამინისტროს საიმიჯო, საინფორმაციო, შემაჯამებელი კლიპი 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის აგვისტომდე შს სამინისტროში განხორციელებული სიახლეების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით 2014 წლის სექტემბრიდან სამი კვირის განმავლობაში საქართველოს ოთხ წამყვან ტელეარხზე - „მაესტროზე“, „იმედზე“, “კავკასიაზე“, და „ობიექტივზე“ გადიოდა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, რადიო „ავტორადიოს“ ეთერში შეიქმნა გადაცემა „კანონის ფარგლებში“, რომლის მიზანია მოქალაქეების ინფორმირებულობის დონის ამაღლება სამინისტროსთან დაკავშირებული საინტერესო და აქტუალური საკითხების შესახებ; ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“ „ავტორადიოს“ ეთერში 1 ოქტომბრიდან განახლდა და 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდა;
- შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ, უსინათლოთათვის და მხედველობადაქვეითებული პირებისთვის, შსს-ს ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად www.police.ge-ის სპეციალური ხმოვანი ვერსია მოამზადა (voice.police.ge);

- 2014 წლის ნოემბერში შს სამინისტროს ვებ–გვერდზე და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა გამოკითხვის ბანერი და სადაც გარკვეული პერიოდულობით გამოქვეყნებული იქნება საზოგადოებისა და სამინისტროსთვის საინტერესო და აქტუალურ თემაზე შეკითხვა პასუხების ვარიანტებთან ერთად, ხოლო ინტერნეტ მომხმარებელი მიუთითებს მისთვის სასურველ პასუხს;
- 2014 წლის დეკემბერში შსს–ს ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსდა ონლაინ–კონსულტაციის აპლიკაცია. აღნიშნული აპლიკაციის მეშვეობით, მოქალაქე ონლაინ რეჟიმში დაუკავშირდება შსს–ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელს, რომლისგანაც უშუალოდ მიიღებს სწრაფ და კომპეტენტურ პასუხს. ეს სიახლე ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირების ხარისხის გაუმჯობესებისა და ოპერატიულობის გაზრდას;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განახორციელა შემდეგი სოციალური კამპანიები:
  - „არ დაჯდე საჭესთან ნასვამი“ – სოციალური კამპანიის მიზანი იყო ნასვამი მძღოლების მიერ ავტომანქანის მართვის პრევენცია ასევე, საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს უქმნის ნასვამი მძღოლი საკუთარ თავსა და გვერდით მყოფ ადამიანებს. სოციალური კამპანია „არ დაჯდე საჭესთან ნასვამი“-ს ფარგლებში მომზადდა ვიდეორგოლები, რომლებიც სატელევიზიო ეთერებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა. სოციალურ ქსელში ჩატარდა კონკურსი და გამოვლინდნენ გამარჯვებულები;
  - „შეიკარი ღვედი“ – სოციალური კამპანია დაიწყო 2014 წლის 10 თებერვალს და დასრულდა 6 მარტს. სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ჩატარდა კონკურსი „საუკეთესო ფოტოს“, „საუკეთესო დიზაინის“ და „საუკეთესო სლოგანის“ გამოსავლენად;
- შს სამინისტრომ ე.წ. „ბიოს“ მოხმარების წინააღმდეგ მიმართული ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო კამპანია განახორციელა, რომელიც 2014 წლის 24 მარტს დაიწყო. კამპანიის მიზანი იყო ე. წ. ბიო ნარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირება. კამპანიის სლოგანი იყო „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. კამპანიის ფარგლებში გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმებმა მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება. საინფორმაციო რგოლები ტელე-რადიოეთერში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელში განთავსდა.

ადამიანის უფლებების დაცვა

- 2013 წლის 15 თებერვალს, ამოქმედდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 24 საათიანი ცხელი ხაზი - „126“, რომელზეც ნებისმიერ პირს შეუზღუდავად შეუძლია მიმართოს სამართალდამცავის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე;

- 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი. აღნიშნული კანონის ამოქმედება წინ გადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, რადგან იგი ითვალისწინებს იმგვარი სისტემის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი სტანდარტები ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში;
- ,,პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი მიზნად ისახავს პოლიციის საქმიანობაში კანონიერების, თანასწორობის, თანაზომიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპების განმტკიცებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თანაზომიერების პრინციპი, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა პოლიციელის ვალდებულება, გამოიყენოს მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიება;
- შსს-სა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ერთობლივი ინიციატივით მიღებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილება, რომლის შედეგადაც ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 90 დღის ნაცვლად განისაზღვრა 15 დღით;
- შსს აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში;
- 2012-2014 წლებში დმი-ში ადამიანის უფლებების დარღვევის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა;
- ტრანსპარენტულია დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა. მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 140-ზე მეტი (2012 ნოემბრიდან 2013 წლის ოქტომბრამდე 90-ზე მეტი, 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ბოლომდე 50-ზე მეტი) ვიზიტი განხორციელდა;
- 2012 წლის დეკემბერში, დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორის დერეფანში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები. მანამდე დროებითი მოთავსების იზოლატორებში ვიდეომეთვალყურეობა არ მიმდინარეობდა;
- განხორციელდა დმი-ს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 2013 წელს ფოთსა და ზესტაფონში გაიხსნა დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორები. სრულად განახლდა 5 დროებითი მოთავსების იზოლატორი (ქ.თბლისისა და მცხეთა მთიანეთის, კახეთის რეგიონალური (ქ.თელავი), შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური (ქ.გორი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური (ქ. მცხეთა) და თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორები), ხუთივე იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით;
- 2014 წელს ქვეყნის მასშტაბით ყველა საკნისათვის მოხდა ახალი ანტივანდალური ტიპის სანათების შეძენა. მათი მონტაჟი ეტაპობრივად მიმდინარეობდა. პროგრამის ფარგლებში, ასევე მიმდინარეობდა წინასწარი დაკავების საკნებში არსებული საწოლების ეტაპობრივი გადაკეთება და ახალი უსაფრთხო მაგიდებისა და სკამების დამონტაჟება;

- დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორს გადაეცა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და ფოტოაპარატურა;
- დმი-ში ყველა დაკავებული უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის საშუალებებითა და სამჯერადი კვებით;
- დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში 60%–ით გაიზარდა ქალ თანამშრომელთა რაოდენობა;
- დმი-ში უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების დროული და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, დაკავებულის დმი-ში შესახლებისას ხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება მედიცინის მუშაკის მიერ, ხოლო შემდგომში იზოლატორში ყოფნის პერიოდში დაკავებულთა მოთხოვნის ან/და საჭიროების შემთხვევაში ხდება დროული სამედიცინო დახმარების გაწევა; იზოლატორში შესახლებულ პირთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2014 წელს სამედიცინო პერსონალისთვის შეიქმნა 114 სამუშაო ადგილი;
- სამინისტროს აკადემიაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სისტემატურად ტარდება სხვადასხვა ტრენინგი;
- 2014 წლის მარტი-ივნისის პერიოდში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის (ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში) ფარგლებში შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულმა შემადგენლობამ (230 თანამშრომელი), საქართველოს შსს აკადემიაში გაიარა ტრენინგი: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაავადებათა პრევენციის შესახებ“;
- 2014 წლის 11 ივლისს დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლებისთვის დაიწყო ტრენინგები პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ამოცნობის და მათთან მოპყრობის, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დახმარების გაწევის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მოხდა სრული შემადგენლობის გადამზადება (230 თანამშრომელი). ტრენინგის დახმარებით დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებმა შეისწავლეს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ამოცნობა და მათთან მოპყრობა ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დახმარების გაწევაც. აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა 6 ეტაპად და 2015 წლის თებერვალში დასრულდა;
- დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა სტანდარტული სამოქმედო პროცედურების (SOP) შემუშავების მიზნით, 2014 წლის მაისში საქართველოში იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ექსპერტი, რომელიც ადგილზე გაეცნო დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირებას და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს;

- 2014 წლის ნოემბერში ცვლილებები შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელ ინსტრუქციებში. ცვლილებები მიზნად ისახავდა ინსტრუქციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ინსტრუქციებში ცვლილებები, ასევე გამოწვეული იყო ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის 15 დღემდე შემცირებით. გაიზარდა დაკავებულთათვის საკანში განკუთვნილი მინიმალური კვადრატულობა, შეიცვალა დაკავებულთა შხაპის მიღების, სუფთა ჰაერზე გასეირნების წესები და სხვა;
- ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების შესაბამისად აშენდა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი. განთავსების ცენტრში უცხოელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში, მოთავსებულ იქნებიან შესაბამისად ადაპტირებულ ოთახებში. ცენტრში გათვალისწინებულია სამლოცველო ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და სპორტული მოედანი.

შიდა აუდიტის სამსახურის განვითარება

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N991 ბრძანების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა შსს–ს სტრუქტურული ქვედნაყოფი – შიდა აუდიტის მთავარი სამმართველო;
- შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების, სამოქმედო პროცედურების და შეფასების კრიტერიუმების დახვეწისა და სისტემატიზაციის საკითხებზე, მთავარი სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან (მთავრობასთან შექმნილი შიდა კონტროლის საკითხების განმხილველი საბჭო);
- მთავარი სამმართველოსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან არსებულ სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, შეთანხმდა სამმართველოს თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამები;
- შემუშავდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საბაზისო პროგრამა და ე.წ. „გზამკვლევი“ აუდიტორებისთვის;
- შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 24 ივლისის N558 ბრძანებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარების მიზნით 2014 წელს დასრულდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი შს სამინისტროში. აუდიტის შედეგების შესაბამისად შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები და შედგენილი იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტები, რომლებიც „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“

კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად წარედგინა აუდირებული დანაყოფების ხელმძღვანელებს;

- 2014 წელს ასევე, განხორციელდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემავალი დანაყოფების საქმიანობის შესწავლა-ანალიზი (წინასწარი აუდიტი). შესწავლის პროცესში განხილული იქნა დანაყოფიდან მიღებული ანგარიშები, გაანალიზდა მათი დებულებები, შეფასება მიეცა არსებულ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საქმიანობის ორგანიზაციას;
- 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული აუდიტებისა და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა აუდიტის გარემო, მოხდა გეგმის რეალიზაციისათვის საჭირო რესურსის გაანგარიშება და შედგა შესაბამისი ცხრილი;
- დაგროვილი გამოცდილებისა და არსებული ინფორმაციის საფუძველზე (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნები, შიდა აუდიტორული ანგარიშები და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესწავლა-ანალიზის შედეგები) ჩატარდა წინასწარი ანალიზი და მოხდა რისკების იდენტიფიცირება, მსგავსი რისკების დაჯგუფება, გაერთიანება და დაბალი გავლენის მქონე რისკების გამოვლენა. განხორციელდა უკვე იდენტიფიცირებული რისკების ანალიზი, რისთვისაც შეირჩა შესაბამისი ინდიკატორები. ინდიკატორების საფუძველზე მოხდა რისკების რანგირება სამ დონედ: მაღალი, საშუალო და დაბალი კატეგორიის რისკები (ალბათობისა და გავლენის დონის მიხედვით), რის შემდეგაც შედგენილ იქნა რისკების რეიტინგი, მოხდა მათი კატეგორიზაცია და გაზომვა.

შსს-ს სტრატეგიისა და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შემუშავება

- 2012 წლის ბოლოს, შსს-ში პირველად შემუშავდა სამინისტროს სისტემის განვითარების სტრატეგია. დოკუმენტში ხაზგასმულია სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევები, პრიორიტეტები და გასატარებელი ღონისძიებები;
- 2014 წლის თებერვალში, შსს–მ საზოგადოებას წარუდგინა 2014 წლის განვითარების სტრატეგია;
- შსს-ს ინიციატივით პარლამენტის მიერ მიღებული იქნა არაერთი საკანონმდებლო აქტი. მათგან აღსანიშნავია:
- შსს-ს მიერ შემუშავებული „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, რომელიც პარლამენტმა 04.10.2013 მიიღო. ახალმა კანონმა ერთმანეთისგან გამიჯნა პოლიციის პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ფუნქციები, კანონში ამომწურავად და ექსპლიციტურად გაიწერა პოლიციის პრევენციული ღონისძიებები, რის შედეგადაც პოლიციელის საქმიანობა კანონით დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცა;
- შსს-ს მიერ შემუშავებული „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონპროექტი (მიღებულ იქნა (04.10.2013)), რომელმაც ეროვნულ დონეზე სამართალდაცვით სფეროში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის წესები და პროცედურები დაარეგულირა;

- „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიღების შედეგად (20.11.2013) პოლიციის აკადემია - საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბდა;
- შსს-ს მიერ მომზადებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტი (პარლამენტმა მიიღო (27.11.2013), რომლის შედეგად სქესობრივი დანაშაულების მიმართ სანქციები გაიზარდა;
- შსს-ს მიერ მომზადებული „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (პარლამენტმა მიიღო (24.12.2013), რომლის შედეგადაც საქართველოს კანონმდებლობაში აისახა საგზაო მოძრაობის სფეროს მარეგლამენტირებელი საერთაშორისო კონვენციები;
- შსს-მ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი არაერთი ცვლილება შეიმუშავა, რომელიც სხვადასხვა დროს მიღებული იქნა პარლამენტის მიერ (27.11.2013; 11.12.2013; 02.05.2014); საკანონმდებლო ცვლილებები რიგ შემთხვევაში მიზნად ისახავდა სამართალდარღვევათა სანქციის რეგულირებას, მის შესაბამისობას სამართალდარღვევის ქმედებასა და სიმძიმესთან, ხოლო რიგ შემთხვევაში აისახა საზოგადოებრივი მართლწესრიგის ახალი გამოწვევები, მათ შორის, განისაზღვრა ცივი იარაღის ტარების წესები, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა და სხვა;
- შსს-მ სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშავა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო (05.03.2014). აღნიშნული კანონი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაურეგულირებელი იმიგრაციული პროცესების მოსაწესრიგებლად;
- პარლამენტმა მიიღო (05.03.2014) შსს-ს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული მიზნად ისახავს ავადმოხმარებადი ნივთიერებების ლეგალური ბრუნვიდან გადინების პრევენციას, პასუხისმგებლობის გამკაცრებას კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატების რეცეპტის გარეშე რეალიზაციისთვის;
- პარლამენტმა მიიღო (04.04.2014) შსს-ს მიერ მომზადებული „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რითაც განხორციელდა ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებების სრული ინკრიმინირება;
- მნიშვნელოვანია შსს-ს მიერ მომზადებული „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის მიღების

(16.04.2014) შედეგად განისაზღვრა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, მათი ქიმიური კლასები და მოხდა კრიმინალიზება;

- შსს-მ შეიმუშავა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის მიღების შედეგად (02.05.2014) სისხლის სამართლის კოდექსში პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სანქციები გამკაცრდა;
- პარლამენტმა მიიღო (29.05.2014) შსს-ს მიერ მომზადებული "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი და ერთიანი მართვის უზრუნველყოფას;
- შსს-მ შეიმუშავა და პარლამენტს მისი ინიციატივით წარედგინა კანონის პროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. ცვლილებები ეხება შეუსაბამოდ მაღალი ადმინისტრაციული ჯარიმების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმესთან და საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათთან შესაბამისობაში მოყვანას;
- შსს-მ შეიმუშავა და მისი ინიციატივით პარლამენტს წარედგინა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტი, რომელიც პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. ცვლილებების შედეგად "პოლიციის შესახებ" კანონში აისახა შსს აკადემიის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მიღება და მის მიერ საპოლიციო უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება;
- „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2014 წლის 1 აგვისტოს N2634 კანონი, რომლის შესაბამისადაც კოდექსს დაემატა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ნორმები (განისაზღვრა ასეთი მოქმედებების სახეები, მათი ჩატარების პრინციპები, ჩატარების წესი, ასეთი მოქმედებების შეწყვეტის პირობები და სხვა);

ადამიანური რესურსები

- 2013 წლის 23-24 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს მასშტაბით პირველად გაიმართა ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება (პატრულ-ინსპექტორები, უბნის ინსპექტორები და დეტექტივ-გამომძიებლები). აღნიშნული მიზნად ისახავდა შსს-ს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის თანამშრომელთა ცოდნის დონის შეფასებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და პროფესიული უნარ-ჩვევების შემდგომ გაღრმავებას;
- შსს-ს სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლები, დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით, მონაწილეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტებში;

- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N995 ბრძანების თანახმად 2014 წლიდან შსს-ს სისტემაში სახელმწიფო სპეციალური წოდებით მისაღები პირები მიიღებიან მხოლოდ სპეციალური კონკურსის შედეგად. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ეტაპებს: აპლიკაციების შეფასება/გადარჩევა, გასაუბრება, სპეციალური კომისიის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება, სპეციალური შემოწმება, გამოსაცდელი ვადით დანიშვნა, პოლიციაში მიღება. სპეციალური კონკურსის ორგანიზების მიზნით შს მინისტრი ქმნის მუდმივმოქმედ სპეციალურ საკონკურსო კომისიებს. სპეციალური კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა;
- 2014 წლის იანვრიდან შსს-ს სხვადასხვა დანაყოფში სტაჟირება/სამუშაო პრაქტიკა 83-მა სტუდენტმა გაიარა. მათგან შსს-ს სისტემაში დასაქმდა 4;
- სამინისტრო დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ორივე სქესის პირთათვის;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ შეირჩა 30-მდე შინაგან საქმეთა სამინისტროში დასანიშნი კანდიდატი, რომლებიც დასაქმდნენ სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში.

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება

- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია;
- 2013 წელს განხორციელდა საპატრულო პოლიციის რებრენდინგი;
- ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება პატრულ–ინსპექტორთა ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;
- ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა, გაფართოვდა მოქმედების არეალი, დაიფარა აქამდე აუთვისებელი მიმართულებები;
- 2013 წელს ფოთსა და ზესტაფონში გაიხსნა პოლიციის ახალი შენობები;
- 2013 წლის თებერვლიდან დაიწყო 100–მდე სამშენებლო/სარემონტო პროექტი;
- 2014 წლის აპრილში დასრულდა დაბა გუდაურში პოლიციის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. 2014 წლის დეკემბერში ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N46–ში პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა გაიხსნა. დასრულდა პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა სოფელ ეწერში და გორისაში. დასრულდა დაბა ჩაქვში მდებარე შსს შენობის სარემონტო სამუშაოები; ასევე, დასრულდა სოფელ დიდ ლილოში მდებარე შსს-ს ოპერატიულ ტექნიკური დეპარტამენტის შენობის სამშენებლო-

სარეკონსტრუქციო სამუშაოები; დასრულდა ქ. თბილისში, ვაჟა–ფშაველას გამზ N55–ში მდებარე პოლიციის განყოფილების შენობის რეკონსტრუქცია;

- 2014 წლის 20 ივნისს გაიხსნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს მე-4 სახაზო განყოფილების ახალი შენობა საჩხერის რაიონში;
- 2014 წელს შეიქმნა გურიის მთავარი სამმართველო და 2 მაისს ექსპლოატაციაში შევიდა აღნიშნული მთავარი სამმართველოს შენობა;
- გაიხსნა ახალი საგუშაგო სოფელ ჯოყოეთთან, სადაც საპატრულო პოლიციის თანამშრომელი 24 საათის განმავლობაში იმორიგეევებს;
- საჩხერეში, პოლიციის შენობაში გაიხსნა განახლებული ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი;
- სტრუქტურული ერთეულების ავტოპარკი განახლდა 570 ერთეული სედანის, პიკაპისა და ჯიპის ტიპის ავტომანქანით; საპატრულო პოლიციას ასევე გადაეცა მოტოციკლები;
- 2014 წლის ბოლოს ძველი თაობის ავტომანქანები ჩაანაცვლა ახალი თაობის ფორდ–ინტერსეპტორის მარკის ავტომობილებმა;
- შეიცვალა ავტომობილების შეფერილობა აღქმადობისა და ვიზუალური გარჩევადობის გაზრდის მიზნით;
- ავტომანქანები აღიჭურვა თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტ კომპიუტერებით, ვიდეო რეგისტრატორებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით;
- დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა (შარვლები, პერანგები, ფეხსაცმელები, ბეჯები, კოკარდები და ა.შ.);
- საპატრულო პოლიციის ოფიცრები აღიჭურვნენ სამხრე ვიდეოკამერებით, პრომილეს მზომი ახალი ალკოტესტებითა და ელექტროშოკებით;
- 2014 წელს საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში გაიზარდა (სულ: 29-დან 43-მდე, თბილისში 19, აჭარაში 11, დანარჩენ საქართველოში 13); გაიზარდა ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემების რაოდენობა;
- გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო მაგისტრალის 120 კილომეტრიან მონაკვეთზე, ასევე ქალაქ საჩხერესა და ქალაქ ჭიათურაში არ ვრცელდებოდა საპატრულო პოლიციის მომსახურება. 2014 წელს აღნიშნულ მონაკვეთზე გაიხსნა 2 ახალი სახაზო განყოფილება და პატრულირებისთვის გადაეცა 7 საპატრულო მანქანა;
- 2013 წლის 15 აგვისტოდან, ბათუმის ბულვარის მთელს პერიმეტრს ახალი ელექტრომობილები ემსახურება. 2013 წლის ივნისში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს გადაეცა რამდენიმე ერთეული კვადროციკლი (უგზოობის პირობებისთვის);
- საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები აღიჭურვა GPS სისტემით ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ზუსტად დაფიქსირების, სახიფათო მონაკვეთების განსაზღვრისა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარების მიზნით;

- საპატრულო პოლიციის რეკომენდაციით ხდება საგზაო ნიშნებისა, შუქნიშნებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟი;
- 2014 წელს შსს–ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი გადავიდა ციფრულ რადიოკავშირზე, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით. აღნიშნული სისტემა აპრობირებულია მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში;
- 2014 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ინტერპოლიმა, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომლებიც საქართველოს საზღვაო პორტებში მსახურობენ, საჩუქრად გადასცა მოწყობილობა (MIND), სადაც განთავსებულია ინტერპოლის ხელთ არსებული მოპარული/დაკარგული სამგზავრო დოკუმენტების მონაცემთა სრული ბაზა (SLTD);
- 26.12.2014წ. დამტკიცდა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება №2649807 საქართველოს სახმელეთო სასაზღვრო გამტარი პუნქტების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესახებ;

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობების გაუმჯობესება

- კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნა ფონოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის ახალი სისტემები და სპეციალური მახასიათებლების კომპიუტერები;
- ბალისტიკური ექსპერტიზის ლაბორატორიას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, მოხდა ფართის ოპტიმიზაცია და ფუნქციურად სწორი გადანაწილება, განისაზღვრა დამატებითი ფართი ბალისტიკური იდენტიფიკაციის ელექტრონული სისტემის განსათავსებლად;
- შეძენილია სტანდარტული ნიმუშები ისეთი ახალი ნარკოტიკული ნივთიერებების ინსტრუმენტული ქიმიური კვლევებისათვის როგორებიცაა პრეგაბალინი (ლირიკა) და სინთეზური კანაბინოიდები (JWH-018, JWH-073, JWH-081, JWH-122, JWH-398, JWH-200, HU-210, CP-47.497) ე.წ. “სპაისი”, “ბიოპლანი”;
- აშშ საელჩოსთან თანამშრომლობის ფარგლებში შეძენილი იქნა ასაფეთქებელი ნივთიერებების სტრანდარტული ნიმუშები;
- გარემონტდა და აღიჭურვა ზესტაფონის და ფოთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური დანაყოფები;
- სრულად განახლდა თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ავტოპარკი;
- დაქტილოსკოპიური განყოფილებისა და ნარკოლოგიური შემოწმების ყველა დანაყოფისათვის შეძენილია თითებისა და ხელის გულების ანაბეჭდების ახალი, გაუმჯობესებული მახასიათებლების სკანერები, რომელთა ინსტალაცია და ქსელში ჩართვა განხორციელდა 2013 წლის სექტემბრში;
- ნარკოტიკული ნივთიერებების, ნავთობპროდუქტებისა და უცნობი ნივთიერებიბის ექსპერტიზის ჩასატარებლად ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიისათვის შეძენილია ახალი სისტემის გაზური ქრომატოგრაფი

მას სპექტრომეტრითა და განახლებული ელექტრონული ბიბლიოთეკით, რომლის ლაბორატორიაში ინსტალაცია განხორციელდა 2013 წლის ოქტომბერში;

- ნივთმტკიცების საცავი აღიჭურვა თანამედროვე სათვალთვალო კამერებით და თითის ანაბეჭდის ამომცნობი სკანერებით;
- აშშ საელჩოსთან მოლაპარაკებით INL პროგრამის ეგიდით შეძენილია შემთხვევის ადგილის მაღალი გარჩევადობის პანორამული გადაღების სისტემა LiazardQ-is ორი სისტემური ერთეული;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით დასრულდა საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კინოლოგიის სამსახურის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. განხორციელდა ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, გარემონტდა ვოლიერები, ოდოროლოგიური ექსპერტიზის და ადმინისტრაციული შენობები, ოდოროლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორია, ვეტერინარული შენობა, მოეწყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ქირურგიულ-პროფილაქტიკური ბლოკი, აგრეთვე, ღია და დახურული აბაზანები. აშენდა სასაწყობე შენობა და სამომსახურეო ძაღლების საწვრთნელი საიმიტაციო ოთახი, ჩატარდა საწვრთნელი მოედნისა და სავარჯიშო ბარიერების რეკონსტრუქცია. სამსახურის მთლიანი პერიმეტრი შემოიღობა, დაიგო ასფალტის საფარი, აშენდა ავტოსადგომი სამომსახურეო ავტომანქანებისთვის, დამონტაჟდა გარე განათების სისტემები და ჩატარდა გამწვანების სამუშაოები;
- აშშ საელჩოსთან მოლაპარაკებით INL პროგრამის ეგიდით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა კინოლოგიის სამსახურის ბაზაზე არსებული სამომსახურეო ძაღლების განსათავსებელი რვა ვოლიერი;
- შეძენილია სამი ერთეული გაზ/ქომატოგრაფი მას-სპექტრომეტრითა და ანალიზატორით (ერთი ქრომატოგრაფი შეძენილია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM დაფინანსებით). ქრომატოგრაფებს გააჩნიათ განახლებადი მონაცემთა ბაზები, რაც იძლევა საშუალებას ჩატარდეს სხვადასხვა ნივთიერების (ნარკოტიკები, ნავთობპროდუქტები, უცნობი ნივთიერებები და სხვ.) თვისობრივი და რაოდენობრივი საექსპერტო კვლევა. ახალი ქრომატოგრაფები განთავსდა თბილისის ნარკოლოგიური შემოწმების ლაბორატორიაში, იმერეთის და აჭარის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში, რაც გაზრდის ინსტრუმენტული ქიმიური კვლევების შესაძლებლობები;
- აჭარის ა/რ და იმერეთის ბალისტიკური ექსპერტიზის ლაბორატორიები აღიჭურვა თანამედროვე შემადარებელი მიკროსკოპებით, ტყვიებისა და მასრების შედარებითი კვლევა შესაძლებელი გახდა ადგილობრივ ლაბორატორიებში. შედარებითი ბალისტიკური ექსპერტიზების ჩასატარებლად გამოძიებას აღარ უწევს ნივთმტკიცების ტრანსპორტირება რეგიონიდან თბილისში, რითაც იზოგება დრო, ადამიანური რესურსები და ტრანსპორტირების ხარჯები;

- 2014 წლის 1 მაისიდან საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში წარმოებს 500-მდე სხვადასხვა ტიპის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების (ე.წ. „ბიო“, „სპაისი“) თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზები. გაზიარებული იქნა წამყვანი ევროპული ლაბორატორიების გამოცდილება, შეძენილ იქნა ახალი საექსპერტო კვლევის სისტემები განახლებადი მონაცემთა ბაზებით, ასევე შეკვეთილია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სტანდარტული ნიმუშები;
- 2014 წელს მთავარ სამმართველოს გადაეცა და დაინსტალდა ავტომატიზირებული ბალისტიკური იდენტიფიკაციის სისტემა BalScan-ის სადგურები და სერვერი - ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოება-განთავსებისათვის;
- 2014 წლის აპრილში ევროსაბჭოს განვითარების ინსტრუმენტის პროექტის ფარგლებში საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს გადმოეცა რადიოაქტიური ნივთიერებების საექსპერტო კვლევის მოწყობილობები და სპეციალური საშუალებები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია რადიოაქტიური ნივთიერებების სრულყოფილი საექსპერტო კვლევა როგორც ლაბორატორიულ, ისე საველე პირობებში;
- 2014 წლის 20 ივნისს ქ. საჩხერეში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, ახალი ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი;
- აშშ საელჩოს INL პროგრამასა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ორმხრივი თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების ფარგლებში მთავარი სამმართველოს 2014 წლის სექტემბრის თვეში გადმოეცა შემთხვევის ადგილის დასათვალიერებელი სპეციალური სინათლის წყარო, რომელიც გამოიყენება შეუიარაღებელი თვალით რთულად შესამჩნევი ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენისათვის;
- 2014 წლის სექტემბერში მიგრაციის დეპარტამენტში გაიხსნა დაქტილოსკოპიური (ხელის ანაბეჭდების) და ჰაბიტოსკოპიური (სახითა და სხეულის სხვა სპეციფიური ნიშნებით პიროვნების იდენტიფიკაცია) ოთახი, რომელიც აღჭურვილია მონაცემთა ბაზებთან ონლაინ რეჟიმში დაკავშირებული სკანერით და სპეციალური ჰაბიტოსკოპიური იდენტიფიკაციის პროგრამული უზრუნველყოფით. ოთახს ემსახურებიან საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტები;
- 2014 წლის 07 ოქტომბერს ქ. ამბროლაურში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, ახალი ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი;
- აშშ საელჩოს INL პროგრამასა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ორმხრივი თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების ფარგლებში მთავარი სამმართველოს 2014 წლის 05 აგვისტოს მიკრონაწილაკების კვლევის ლაბორატორიისათვის გადმოეცა მაღალი ხარისხის შემადარებელი მიკროსკოპი Leica FS4000, რომელიც 2014 წლის დეკემბერის თვეში ბიოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიაში დაინსტალდა. მიკროსკოპის საშუალებით შესაძლებელია რეალურ დროში

ბიოლოგიური ობიექტების (თმა, ძვლის ფრაგმენტი და სხვ.) შედარებითი კვლევის წარმოება, მონაცემების მაღალი გარჩევადობის კამერით ფოტოგრაფირება და დოკუმენტირება;

- 2014 წლის ნოემბერის თვეში შეძენილი იქნა შემთხვევის ადგილზე შეუიარაღებელი თვალით უხილავი სისხლის ლაქების აღმოსაჩენი და ვიზუალიზაციის კრიმინალისტიკური საშუალებები;
- 2014 წლის ივლისში დაიწყო Expert-Forensic Management Systems - საექსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის პროექტი. პირველი ფაზა დასრულდა 2014 წლის დეკემბერში. პროექტის მიზანია საექსპერტო-კრიმინალისტიკური საქმეების რეგისტრაცია, ნივთმტკიცებების რეგისტრაცია, საწყობში მოძრაობა, საქმის მიმდინარეობის განსაზღვრა და კონტროლი, დასკვნის ფორმირება, ანგარიშგებები;

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2013 წლის 13 ივნისის მთავრობის №145 დადგენილებით, შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, რომელიც 2013 წლის 2 ოქტომბერს დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ;
- 2013 წლის ნოემბერში უწყებათშორისმა საბჭომ დაამტკიცა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. დოკუმენტების მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის პრევენციას და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას;
- 2014 წლის მარტში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საინფორმაციო კამპანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. აღნიშნული მოიცავს ბეჭდვითი მასალების გავრცელებას საზოგადოებაში ისევე, როგორც შსს-სა და საინფორმაციო საშუალებების ვებ-გვერდებზე შესაბამისი საინფორმაციო მასალის განთავსებას.

სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- 2013 წლის აპრილიდან აშშ-ის მხარდაჭერით სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სარადარო სადგურ „სუფსაზე“ მიმდინარეობდა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის მშენებლობა, რომლის ამოცანაა

საქართველოს საზღვაო სივრცეში არალეგალური ქმედებების, საზღვაო ინციდენტებისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დარღვევათა პრევენცია, აღმოჩენა და აღმოფხვრა; 2014 წლის 24 ივნისს შს მინისტრმა და აშშ-ის ელჩმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აღნიშნული ცენტრის ახალი შენობა საზეიმოდ გახსნეს, რომელიც ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მაკოორდინირებელი ორგანოა, სანაპირო დაცვის ბაზაზე ჩამოყალიბდა და ერთობლივი მართვის, კონტროლის, კომუნიკაციების, საზღვაო დაკვირვების ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი; სანაპირო დაცვის დეპარტამენტს გემთსარემონტო სახელოსნოსათვის გადაეცა საინჟინრო დაზგა-დანადგარები;

- 2013 წლის 10 სექტემბერს გაიხსნა დარიალის განახლებული სასაზღვრო გამტარი პუნქტი, რომლის გამტარუნარიანობამ დღე-ღამეში 8000 ადამიანს მიაღწია;
- 2013 წლის დეკემბერში დასრულდა სასაზღვრო სექტორების „კარწახისა“ და „სამების“ სამშენებლო სამუშაოები;

2014 წელს აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ახალი სასაზღვრო სექტორები, კერძოდ;

- საქართველო - სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სამი - N4 (ახკერპი), N5 (ბურდაზორო) და N6 (ლოქჯანდარი) სასაზღვრო სექტორი;
- საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) ერთი - N9 (ვახტანგისი) სასაზღვრო სექტორი და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) ერთი N1 (ცოდნისკარი) სასაზღვრო სექტორი;
- საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) სამი - N3 (მსხალგორი), N4 (ახალსოფელი), N5 (შილდა) სასაზღვრო სექტორი;
- გაზაფხული-ზაფხულის პერიოდზე გადასვლასთან დაკავშირებით გაიხსნა 20 ერთეულზე მეტი საზაფხულო სექტორი და დროებითი სასაზღვრო პოსტი;
- 2014 წელს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები;
- სასაზღვრო პოლიციის N1 სამმართველოს (ბათუმი) მონაკვეთზე სამმართველოს ძალებით აშენდა 7 ერთეული ბლოკ–პოსტის შენობა;
- სასაზღვრო პოლიციას გადაეცა ოთხი МИ-8, ერთი МИ-2 ტიპის შვეულმფრენი და ერთი АН-28 ტიპის თვითმფრინავი. სანაპირო დაცვას გადაეცა მცირე საპატრულო კატარღა ARES-43. წლის განმავლობაში ევროკავშირისა და აშშ-ის მხარდაჭერით სასაზღვრო პოლიციას გადაეცა 18 კვადროციკლი;
- ადგილზე შეკეთდა და მწყობრში ჩადგა AS-350 BV-i ტიპის შვეულმფრენი;
- 2014 წელს შემუშავდა და დამტკიცდა სახმელეთო საზღვრის გამტარი პუნქტების სტანდარტული სამოქმედო გეგმები;

- საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის 2001 წლის 18 ივნისს გაფორმებული „ნარკოტიკების კონტროლისა და კანონიერების განმტკიცების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებისა და ამ შეთანხმებაში 2011 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად სასაზღვრო პოლიციამ 2014 წლის პირველ კვარტალში მიიღო 6.655.000 ათასი დოლარის ღირებულების კავშირგაბმულობის უახლესი ტექნიკური საშუალებები, რომელთა მონტაჟი უკვე დასრულებულია. აღნიშნული უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის სახელმწიფო საზღვრის ოპერატიულ მართვას;
- 2014 წელს პირადი შემადგენლობის როტაციისა და ლოგისტიკური უზრუნველყოფის მიზნით, სასაზღვრო პოლიციას აშშ-ის მთავრობის მიერ გრანტის სახით გადაეცა 25 ერთეული "პოლარის"-ის მოდელის კვადროციკლი;
- ჩატარდა სარემონტო, გაზიფიცირების, ელექტროფიცირების, წყალმომარაგებისა და სხვა სახის მოწყობითი სამუშაოები სექტორები;
- საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციაში, უსაფრთხოების განმტკიცების და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მომზადდა, საერთაშორისო შეთანხმების პროექტები. აღნიშნული პროექტების ფარგლებში, შსს სასაზღვრო პოლიცია თანამშრომლობს: აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურთან, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურთან, ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო სასაზღვრო კომიტეტთან, ლატვიის რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების საზღვაო ფლოტილიის საზღვაო უსაფრთხოების საკოორდინაციო ცენტრთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტებმა 2014 წელს ორ ეტაპად ერთობლივად ჩაატარეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის შეფასება, რომლის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარზე არსებული საფრთხეებისა და დაუცველი ადგილების გაანალიზება და იმის განსაზღვრა, რამდენად შეუძლია საქართველოს სასაზღვრო პოლიციას, გამოავლინოს და აღკვეთოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობები, ასევე ქმედითუნარიანობის გასაუმჯობესებლად მატერიალური და არამატერიალური ხასიათის გადაწყვეტილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ევროკავშირი აფინანსებს ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამით - „მეტი-მეტისთვის - მიგრაცია და საზღვრის მართვა“ - გათვალისწინებულ საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დემარკირებულ საზღვარზე 3.200.000 ევროს ღირებულების ტექნიკურ აღჭურვასა და ინფრასტრუქტურის მოწყობას;
- შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 30 აგვისტოს N667 ბრძანების საფუძველზე შემუშავებულ იქნა სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციის, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ხუთწლიანი პროგრამა. სამუშაო

ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო უწყების სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებისგან, შვიდ თვეში დაასრულა პროგრამის შემუშავება. დოკუმენტი მოიცავს როგორც პრობლემური საკითხების ანალიზს, ასევე განსაზღვრავს არსებული გამოწვევების გადაჭრის რეკომენდაციებსა და მათი აღსრულებისათვის საჭირო მექანიზმებს. პროგრამას საფუძვლად დაედო 2014 წელს ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების მიერ შემუშავებული მწვანე საზღვრის შეფასების ანგარიშები, რომლებიც სამუშაო ჯგუფის ფორმატში გადამუშავდა და სასაზღვრო პოლიციის მიერ იდენტიფიცირებულ საჭიროებებთან ერთად აისახა ხუთწლიანი პროგრამის ერთიან დოკუმენტში. პროგრამა მოიცავს შსს–ს სასაზღვრო პოლიციის მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და მეთვალყურეობის, ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორიტის, პერსონალური აღჭურვის, იპოლოგია–კინოლოგიისა, სანაპირო დაცვისა და ავიაციის ფლოტის მოდერნიზების საკითხებს 2015წ, 2016-2017წწ და 2018-2019 წლების პერსპექტივაში;

საგანგებო სიტუაციების მართვა

- მესტიასა და სტეფანწმინდაში შეიქმნა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების ქვეგანყოფილებები. მათთვის აშენდა კოტეჯები, გადაეცათ სამაშველო აღჭურვილობა და ავტომანქანები. სტეფანწმინდაში სამაშველო სამსახურის ახალი შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2013 წლის დეკემბერში, ხოლო მესტიაში 2014 წლის 3 აპრილს;
- 2013 წლის ივლისში შსს-ში შეიქმნა საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს მოსახლეობის უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფისა და დაცვისათვის;
- საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი და ერთიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წელს შსს-ს ინიციატივით პარლამენტს წარედგინა და მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ". საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად, 2015 წლის იანვრიდან შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი გარდაიქმნა შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდ. სააგენტო წარმოადგენს ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს. სააგენტოს შემადგენლობაში გაერთიანდა ქვეყანაში არსებული რეგიონალური და მუნიციპალური სამაშველო და სახანძრო-სამაშველო დანაყოფები. შემუშავდა სააგენტოს დებულება, რომლის მიხედვითაც სააგენტო, თავის მისიას ახორციელებს მართვის ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. შესაბამისად, მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შექმნის უზრუნველყოფა და კოორდინირება, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა და მათი საქმიანობის ორგანიზება; საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, ქვეყანაში სამხედრო-

სამოქალაქო თანამშრომლობის ორგანიზება; საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების კოორდინირება;

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა „ნორჩ მაშველთა კლუბი“. აღნიშნული მოსწავლე-ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს მიიღონ შესაბამისი ცოდნა კატასტროფის რისკის შემცირების, საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ქცევის, სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ. 2014 წელს, ქართველმა „ნორჩმა მაშველებმა“ მონაწილეობა მიიღეს ნორჩ მაშველთა სპარტაკიადებში საერთაშორისო საზაფხულო ბანაკებში აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში. ხოლო, ბელორუსიელ ნორჩ მაშველებს, იგივე ფორმატში, უმასპინძლა ანაკლიის საზაფხულო ბანაკმა;
- 2014 წლის ივლისში საქართველოში ჩატარდა CBRN-ის რეგიონალური სამდივნოს ერთი წლის მუშაობის შემაჯამებელი შეხვედრა. სისტემატიურად ტარდება „ქბრბ“ საფრთხეების შემცირების სტრატეგიის შესაბამისად ეროვნული გეგმის სამუშაო შეხვედრები. ევროკავშირის ორგანიზებით და დაფინანსებით განხორციელდა „ბიოუსაფრთხოების“ სფეროში ეროვნული ექსპერტების მომზადება. ასევე, ევროკავშირისა და აშშ თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსთან მიღწეულ იქნა შეთანხმება „ქბრბ“ ინციდენტებზე რეაგირების სპეცაღჭურვილობის დეპარტამენტისათვის შეძენისა და გადმოცემის თაობაზე;
- კატასტროფების რისკების მართვისა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით 2014 წლის მაისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროგრამის PPRD East-ის ფარგლებში, შეიქმნა რეგიონალური ელექტრონული რისკების ატლასი (ERRA), რომელიც დაინსტალირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სერვერზე. ელექტრონული ატლასის ფუნქციონირებას ახდენს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურისთვის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის შორის „სამრეწველო ავარიების პრევენციის, კატასტროფების, სტიქიური უბედურების და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში“ თანამშრომლობის მთავრობათაშორისი შეთანხმების ფარგლებში, მომზადებულ და 2014 წლის 2 ივლისს ხელმოწერილ იქნა ერთობლივი ღონისძიებების 2014-2016 წლების გეგმა;
- შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა, 2014 წლის 5 სექტემბერს, საქართველოში ორგანიზება გაუკეთა ფართომასშტაბიან საერთაშორისო სწავლებას „უსაფრთხო კავკასია – 2014“, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთავრობას და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის

დადებული „საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების, შეზღუდვისა და შემსუბუქების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში და ასევე საერთაშირისო კომპანია „ბრითიშ პეტროლიუმთან“ (BP) „ხმელეთზე და წყალში ნავთობის დაღვრაზე ერთობლივი რეაგირების“ თაობაზე არსებული ხელშეკრულების ფარგლებში. სწავლების მიზანი იყო, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ფარგლებში, კატასტროფებზე მორეაგირე ძალების კოორდინირებული მუშაობის დახვეწა და გაუმჯობესება. ასევე, ჩატარდა კომპანია „ბრითიშ პეტროლიუმის“ და მისი კონტრაქორი კომპანია „ბრიგსის“ სამაშველო ძალების ერთობლივი რეაგირების ოპერაციების ტესტირება;

- შსს მიერ 2014 წლიდან პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარი სახანძრო სკოლის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით შემუშავდა და განხორციელდა საერთაშორისო პროექტი „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესის შესახებ“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ქართველი მეხანრე–მაშველების გადამზადება „სუნთქვისა და მხედველობისათვის არახელსაყრელ პირობებში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესის“ საკითხებზე;
- პროექტის, თემაზე: „წყალდიდობის წინააღმდეგ ადრეული გაფრთხილების და პრევენციის სისტემები საქართველოში (მდინარეების კაბალის და დურუჯის აუზებში)“ ფარგლებში, 2014 წლის 10-12 სექტემბერს საერთაშორისო ორგანიზაციის „Civitas Georgia“-ს მხარდაჭერით და პოლონელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა სწავლებები თემაზე: „კრიზესების მართვა მდ.კაბალი და დურუჯის მოდელებზე“. შესაბამისად, ორგანიზება გაუკეთდა ყვარელისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, წყალდიდობის შემთხვევაში ადგილობრივი რეაგირების შეფასებას, ევაკუაცის გეგმების შემუშავებას და სიმულაციური ვარჯიშების საფუძველზე მათ ტესტირებას, ასევე, განხორციელდა ადრეული გაფრთხილების სადგურების დაინსტალირება;

შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება

- შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრუქტურულ დანაყოფებში განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, პირადი შემადგენლობის პროფესიული შესაძლებლობების გაზრდისა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავს დანაყოფების საქმიანობის ეფექტურობის გაძლიერებას და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობას ნებისმიერ კლიმატურ პირობასა და რთულ გეოგრაფიულ არეალში. 2014 წელს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრუქტურულ დანაყოფების მიერ ჩატარდა შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი:

- გაუმჯობესდა როგორც ცხინვალის რეგიონის, ისე აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში განლაგებულ საგუშაგოებზე არსებული პირობები. განთავსდა სპეციალური კონტეინერების ტიპის შენობები (საცხოვრებელი, სამზარეულო, სააბაზანო და სხვა), განხორციელდა საგუშაგოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. გაიმართა და მოწესრიგდა ჰიდროლოგიური ჭაბურღილები, გაზგაყვანილობის სისტემები და გათბობის ქსელები;
- განახლდა და გარემონტდა დეპარტამენტის სხვადასხვა დანაყოფების შენობა-ნაგებობები, ყაზარმები და მოსასვენებელი ადგილები. დანაყოფები აღიჭურვა საწვრთნელი ხელოვნური ბარიერებით და სასროლეთით;
- განახლდა და შეივსო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ავტოპარკი;
- შესაბამისი საკომუნიკაციო და მართვის საშუალებებით აღიჭურვა დეპარტამენტის დანაყოფების სამეთაურო და სპეციალური დანიშნულების მანქანები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მოსამსახურეთა სამუშაო პირობები და უსაფრთხოების კონტროლის ხარისხი;
- დეპარტამენტში გატარებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება და დანაყოფებში მოწესრიგდა მებრძოლებისა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის საკითხები;
- განვითარდა და თანამედროვე საშუალებებით აღიჭურვა დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურები;
- შეიცვალა დეპარტამენტის მოსამსახურეთა უნიფორმა, ნაცვლად „ციფრული“ ფორმისა პირად შემადგენლობას დაურიგდა „მულტიკამის“ ტიპის თანამედროვე საველე უნიფორმა;
- დეპარტამენტის პირად შემადგენლობის პროფესიული შესაძლებლობების განვითრების მიზნით, მუდმივად ტარდება ტრენინგები და პრაქტიკული წვრთნები შესაბამისი მიმართულებებით. ტრენინგები უტარდებათ როგორც საქართველოში, დამტკიცებული ყოველწლიური სასწავლო გეგმების საფუძველზე, გამოცდილი ქართველი ინსტრუქტორების მიერ, ისე სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში;

სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი:

- ინფრასტრუქტურის განვითრების მიზნით, დეპარტამენტის ბაზაზე ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები, კერძოდ, განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის და საყაზარმე ოთახების კაპიტალური რემონტი, ადმინისტრაციული კორპუსის წყალმომარაგება და ბაზის ტერიტორიაზე არსებული ავტოფარეხის გადახურვა; ასევე ჩატარდა გამნაღმველთა შენობის გამაგრებითი სამუშაოები; აშენდა და მოეწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების განთავსებისა და ტექნიკური მომსახურების სადგომები, განახლდა ელ-გაყვანილობის სისტემა;

- დეპარტამენტში განახლდა ავტოპარკი და დანაყოფები აღიჭურვა შესაბამისი სპეციალური აღჭურვილობით;
- დეპარტამენტის საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სამმართველოს ბაზაზე სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების პირადი შემადგენლობისთვის პერმანენტულად ტარდება ტრენინგები და ტაქტიკური წვრთნები. სამმართველოს ბაზა მოწყობილია სათანადო საწვრთნელი ინფრასტრუქტურით და აღჭურვილობით და ჰყავს შესაბამისად გაწვრთნილი ინსტრუქტორები. სასწავლო დანაყოფში ხორციელდება როგორც საბაზისო მომზადების, ისე თანამშრომელთა გადამზადების პროგრმები. გარდა ამისა, დანაყოფებს წლის განმავლობაში უტარდებათ გეგმიური ფიზიკურ მეცადინეობები და საცეცხლე მომზადება. სამმართველოს გამოცდილი ინსტრუქტორები მივლინებული არიან შს აკადემიაში და მონაწილეობენ სხვადასხვა სასწავლო პროგრამის განხორციელებაში.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი:

- სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტში ჩატარდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დასაცავ პერიმეტრზე (ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ბაზა) განლაგდა ახალი საგუშაგო ჯიხურები და მოეწყო სველი წერტილები;
- დეპარტამენტში დაინერგა კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემები, რის შედეგად ძველი ანალოგური რადიოსადგური შეიცვალა გაცილებით მაღალი ხარისხის ციფრული რადიოკავშირით. ახალი აპარატურა იძლევა მილსადენის ტერიტორიაზე მოძრავი საპატრულო ჯგუფებისა და ავტომობილების ეფექტური GPS მონიტორინგის საშუალებას;
- დეპარტამენტის თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები და პრაქტიკული წვრთნები სტრატეგიული მილსადენების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში, როგორც ქართველი ტრენერების, ისე BP-ის ექსპერტების მიერ.

სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტი:

- დეპარტამენტის საკონტროლო პუნქტების და საყარაულო შენობებს ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები (სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ტერიტორიაზე);
- დეპარტამენტის მოსამსახურეთა ე.წ. „ციფრული“ ფორმა შეიცვალა ახალი თანამედროვე საველე-ოპერატიული უნიფორმით. გარდა ამისა, დამტკიცდა ახალი ყოველდღიური უნიფორმა.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების პოლიტიკა

- შსს-საკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს ევროკავშირის ინიციატივის „ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრები“-ს თბილისის რეგიონული სამდივნო, რომელიც 2013 წლის ივლისში გაიხსნა და საქართველოს სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკვანძო ქვეყნად აქცევს. მისი მთავარი ფუნქცია ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების შესაძლებლობების განვითარებაა;
- საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შსს-ს ხელმძღვანელობით შექმნილმა უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია, რომელიც 2014 წლის თებერვალში დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ;
- საბჭოს ფარგლებში შექმნილია, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაციულ–ბირთვული სამუშაო ჯგუფები, რომელთაც შეიმუშავეს და დაამტკიცეს სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შსს–ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაუმჯობესებას;
- 2014 წლის 1-5 ივნისს, საქართველოში პირველად გაიმართა „ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესი“. აღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა. კონგრესის საპატიო დირექტორია საქართველოს პრემიერ–მინისტრი. კონგრესი ეხებოდა ქბრბ ნივთიერებების გაუვრცელებლობას, ქბრბ ინციდენტების შედეგების მართვას, ქბრბ უსაფრთხოებასა და სხვა საკითხებს. მას ესწრებოდნენ მაღალი დონის ოფიციალური პირები და ქბრბ სფეროს ექსპერტები მსოფლიოს 38 ქვეყნიდან;
- 2014 წლის 29 ოქტომბერს, ნიუ–იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ–ბინაში, გენერალური ასამბლეის 69–ე სესიის პარალელურად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გაერო–ს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) ორგანიზებით, გაიმართა ღონისძიება „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სამოქმედო გეგმები: პასუხი საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევებს“;
- შსს–ს დელეგაციამ ღონისძიებაზე ‘’ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმები: ეფექტიანი უწყებათაშორისი თანამშრომლობის მაგალითი“, 2014 წლის 1 დეკემბერს, ჰააგაში წარადგინა ქბრბ ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმის პროექტი;
- 2014 წლის 5 დეკემბერს, ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი ასევე, წარდგენილი იქნა ჟენევაში, ბიოლოგიური იარაღის კონვენციასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აიღო დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის ვექტორი. შსს-ს ყველა ინიციატივა წარმოადგენს სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგს, რომელიც კომპლექსური ანალიტიკური სამუშაოს შედეგად დაიგეგმა;
- 2012 წლის დეკემბერში, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსა და შსს-ს შორის ჩამოყალიბდა მონაცემთა გაცვლის ონლაინ რეჟიმი, რაც შსს-თვის ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდებას უზრუნველყოფს;
- 2013 წლის 22 მაისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შსს-ს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, „საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით თანამშრომლობის შესახებ“;
- 2013 წლის აგვისტოში, შსს-სა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აყალიბებს პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვიდან უკანონო არხებში გადინების პრევენციის მექანიზმებს;
- 2014 წლის 5 მარტს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონებში შესატანი მნიშვნელოვანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც სააფთიაქო ნარკომანიასთან ბრძოლას ითვალისწინებს;
- "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლებრივ დევნას დაექვემდებარა კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი კომბინირებული სამკურნალო საშუალებები, რომელთაგან მზადდებოდა კუსტარული ნარკოტიკები „კრაკადილი“, “ვინტი“, „ჯეფი“. გამკაცრდა პასუხისმგებლობა აფთიაქის მფლობელთა და აფთიაქში დასაქმებულთათვის. კანონით განისაზღვრა ქვეყნის შიდა კვოტების დადგენის შესაძლებლობა შსს-სა და ჯანდაცვის მინისტრების მიერ ერთობლივად;
- ცვლილებების განხორციელებამდე უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული ნივთიერებები ლეგალურად შემოედინებოდა საქართველოში და თავისუფლად ხელმისაწვდომი იყო აფთიაქებში. 2012 წელს საქართველოში მხოლოდ კოდეინის შემცველი კომბინირებული საშუალებების 15 000 000 აბის იმპორტირება მოხდა. 2013 წლის 16 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე განხორციელებულმა შსს-სა და ჯანდაცვის სამინისტროების

მიერ აფთიაქების ერთობლივმა ინსპექტირებამ აჩვენა, რომ 99,99%-ის გადინება ხდებოდა არალეგალურ არხებში;

- 2013 წლის ივლისში, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრმა შექმნა სააღრიცხვო მოდული, რომელიც წარმოადგენს სააღრიცხვო მონაცემთა ერთობლიობას, სადაც ცენტრალიზებული და სისტემატიზებულია „ბიო“ ნარკოტიკის მოხმარებაში გამოვლენილ პირთა შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- 2013 წლის ივლისში, შსს–ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 116.5 კგ ჰეროინი ამოიღო;
- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შემცირების მიზნით, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა მთავარმა სამმართველომ შეიძინა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენისთვის საჭირო ეტალონური ნიმუშები, რაც ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოდინების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების საშუალებას იძლევა;
- „კრაკადილთან“ მიმართებით სახეზეა მოხმარების 90%-იანი კლება კანონის ძალაში შესვლის (2014 წლის 15 მარტი) შემდეგ;
- 2014 წლის მარტიდან, საზოგადოებაში ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ავადმოხმარების საკითხზე ცნობიერების გაზრდისა და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, შსს-მ დაიწყო ფართომასშტაბიანი ანტინარკოტიკული კამპანია „არა ბიონარკოტიკს“, რომელიც მოიცავს როგორც საინფორმაციო ვიდეორგოლებს, ასევე სამართალდამცავთა ვიზიტებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- 2014 წლის აპრილ-მაისის თვეებში, ბიონარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ ინიცირებული კამპანიის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და სამინისტროს სამხარეო სამმართველოს უფროსებმა ჩაატარეს არაერთი შეხვედრა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებთან და საჯარო სკოლის მოსწავლეებთან;
- 2014 წლის 1 მაისიდან ძალაში შევიდა „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზე დაწესდა პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ ცალკეულ ე. წ. „ბიოებსა“ და „სპაისებზე“, არამედ ქიმიურ ნაერთთა მთელ კლასებზე. კანონის აღსრულება არის ძალიან ეფექტური. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მინიმუმამდეა შემცირებული ინტერნეტით ამ ნივთიერებების გამოწერა და ფოსტის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა. ეფექტურად ფუნქციონირებს აღნიშნული კანონის საფუძველზე შექმნილი უწყებათშორისი სახელმწიფო კომისია, რომელსაც ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონიტორინგის ფუნქცია აკისრია;
- 2014 წლის 1 მაისიდან საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში წარმოებს 500-მდე სხვადასხვა ტიპის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი. შეძენილ იქნა ახალი საექსპერტო კვლევის სისტემები განახლებადი მონაცემთა ბაზებით;

- 2014 წლის 20 ივნისს, ქ. საჩხერეში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, ახალი ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი;
- თბილისის 2014 წლის ივლისში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაიხსნა კინოლოგიური პროექტი (K9), რომლის მიზანია შს სამინისტროს კინოლოგიური სამსახურის შესაძლებლობების განვითარება და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა. პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისგან შექმნილია ოპერატიული დანაყოფი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძაღლებთან ერთად მუშაობს. ორივე უწყებისთვის შეძენილია 5 სამომსახურეო ძაღლი. ძაღლების საწრთვნელად სამსახურის ტერიტორიაზე აშენებულია ე.წ. საიმიტაციო ოთახი, პარკირებულია ავტომანქანები, სადაც ხდება შემთხვევის ადგილის მოდელირება. ოპერატიული დანაყოფის წევრებმა, შეძენილ სამომსახურეო ძაღლებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით გაიარეს რვაკვირიანი მომზადების კურსი, ასევე გაეცნენ თურქეთში არსებულ სისტემას;
- ქვეყანაში ნარკოტიკებისა და პრეკურსორების უკანონო შემოტანის ძირითად მიმართულებებზე (აეროპორტები, საზღვაო პორტები, საავტომობილო გზები) კონტროლისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმების გაძლიერების შედეგად, 2014 წლის 14 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მიერ ამოღებულ იქნა 2.79 ტონა თხევადი ჰეროინი; შსს სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 2014 წლის 31 ივლისს სოფლების მიმდებარე ტერიტორიებიდან 28 ტონა და 373 კილოგრამი ველურად მზარდი კანაფი აღმოაჩინეს და გაანადგურეს; ივნისის თვეში კი ამოღებული იქნა 500 გრამზე მეტი ოდენობის კოკაინი;
- 2014 წლის მაისი–აგვისტოს პერიოდში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ფაქტზე 84 სს საქმე იქნა აღძრული და 87 პირი იქნა მიცემული პასუხისგებაში. აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით კი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ფაქტზე აღძრული იქნა სისხლის სამართლის 42 საქმე, ბრალდებული იქნა 45 პირი. აღნიშნული მონაცემები, ივლისი–სექტემბრის ანგარიშის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ფაქტობრივად განახევრებულია, რაც მეტყველებს სამინისტროს მიერ გატარებული ნარკოპოლიტიკის ეფექტურობაზე. საერთო ჯამში მოხდა 35 კგ-ზე მეტი ოდენობის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების განადგურება;
- საგულისხმოა, რომ 2014 წლის მაის-აგვისტოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების საზღვარზე შემოტანის მხოლოდ 6 ფაქტი ფიქსირდება, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 69 მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოტანა 11–ჯერ არის შემცირებული;

- სექტემბერი–ნოემბრის პერიოდში ამანათის სახით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოტანის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა (31.10.2014); კერძოდ, ადგილი ჰქონდა ჩინეთიდან ამანათის სახით 30 გრ.-მდე გაურკვეველი ფხვნილის შემოტანის მცდელობას. აღნიშნული ფხვნილი გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციას და სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დადგინდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების არსებობის ფაქტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების 2014 წლის 28 ნოემბრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ნარკოტრანზიტის გამოვლენა, აღკვეთა, პრევენცია, რისკებისა და საფრთხეების ანალიზი, საქართველში შემომავალი ტვირთისა და საეჭვო გადამზიდავი კომპანიების მონიტორინგი. ჯგუფი შედგება ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და შემოსავლების სამსახურის ოფიცერებისგან. ჯგუფის წევრები გადამზადდნენ შსს აკადემიის, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და აშშ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს (DEA) მიერ;
- შსს-ს დაფინანსებით შეძენილ იქნა ანალიზატორით აღჭურვილი გაზ-ქრომატოგრაფ/მასსპექტრომეტრის ორი სისტემა, რაც შესაძლებელს გახდის აჭარისა და იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურების ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში ნარკოტიკული საშუალებების (მათ შორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების) და უცნობი ნივთიერებების დასადგენად სრულყოფილი ინსტრუმენტული კვლევის ჩატარებას;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეიქმნა ნარკოპოლიტიკის გვერდი, რომლის მიზანია დაინტერესებულ პირებს გააცნოს ძირითადი სიახლეები და მიმართულებების ნარკოპოლიტიკის კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;
- EMCDDA–თან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის შექმნა. ცენტრის ფუნქცია საქართველოში არსებულ ნარკოვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამეცნიერო-პრაქტიკული მეთოდოლოგიების დანერგვა, საერთაშორისო დონეზე შესაბამის ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლა და ანგარიშგების წარმოება იქნება.

მიგრაციული პროცესების მართვა

- 2014 წლის ივნისში გამართულ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სხდომაზე დამტკიცდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე მიგრაციის 2013-2015 წლების სტრატეგიაში შესატანი ცვლილებები და 2012 წლის მიგრაციის პროფილის შესწორებული ვარიანტი;
- არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმის შექმნის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წლის აგვისტოში შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის შიგნით კანონიერი

საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენაზე, დაკავებასა და ქვეყნიდან გაძევებაზე;

- 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ახალი კანონით განისაზღვრა ქვეყანაში შემოსვლის, ყოფნისა და ქვეყნიდან გასვლის ვადები და წესები. ახალი კანონიდან გამომდინარე, მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში, შსს–მ შეიმუშავა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. კერძოდ, შსს-ს მინისტრის 19 აგვისტოს ბრძანებით (№631) დამტკიცდა უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესი. ასევე, 2014 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№525) დამტკიცდა უცხოელის საქართველოდან გაძევების წესი;
- ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად აშენდა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა დროებითი განთავსების ცენტრი. ამ მიზნით, შსს-ს თანამშრომლები, სასწავლო ვიზიტების ფარგლებში ეცნობოდნენ ევროპულ გამოცდილებას. განთავსების ცენტრში უცხოელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში, მოთავსებულ იქნებიან შესაბამისად ადაპტირებულ ოთახებში. ცენტრი, ასევე, უზრუნველყოფს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვას. მასში გათვალისწინებულია სამლოცველო ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და სპორტული მოედანი;
- ასევე, შეიქმნა სრულიად ახალი პროგრამული უზრუნველყოფა - სასაზღვრო მიგრაციის მართვისა და მოხსენებების სისტემა. აღნიშნული უცხოელთა შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებულ ინფორმაციას შეაგროვებს, დაამუშავებს და გამოავლენს იმ პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ქვეყანაში ყოფნის კანონიერი საფუძველი;
- განახლდა სასაზღვრო გამტარი პუნქტების შესაბამისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაც. გაიზარდა საკომუნიკაციო ქსელის შესაძლებლობები სგპ-ებსა და ცენტრს შორის მონაცემთა შეუფერხებელი მიმოცვლისთვის, რისთვისაც დამატებით მოეწყო 700 კილომეტრამდე მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელი. აღნიშნული პროექტის რეალიზებისთვის შსს–მ გამოყო დაახლოებით 1 მილიონი აშშ დოლარი;
- 2014 წელის 11 ნოემბერს საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებას და შესაბამის საიმპლემენტაციო ოქმს;
- მიგრაციის დეპარტამენტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის გარე საზღვრების მართვის ევროპულ სააგენტოსთან (FRONTEX). აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სამართლებრივი

საფუძვლის გარეშე მყოფ საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციები;

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მომსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ №999 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და დაემატა დანართი №7 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მომსახურეთა ქცევის ინსტრუქცია“;

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

- პრევენციული ზომების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წლის განმავლობაში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბდა 3 (სამი) შემოწმების მობილური ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფები განაგრძნობენ ტრეფიკინგის დანაშაულის რისკის შემცველი ადგილების სისტემატურ გამოვლენა-აღრიცხვას პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა პროაქტიული გამოვლენის მიზნით;
- 2014 წლის იანვარში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;
- 2014 წლის 27 თებერვალს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს;
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ დაფინანსებული პროექტის - ,,შესაძლებლობების ზრდა აჭარასა და ქვემო ქართლში ტრეფიკინგის მსხვერპლთა პროაქტიული გამოვლენისათვის“. ფარგლებში ჩატარდა 3 ტრენინგი, მათ შორის ერთ-ერთი - საერთაშორისო ექსპერტის ხელმძღვანელობით, რომელმაც სამართალდამცავებს გაუზიარა საუკეთესო უცხოური პრაქტიკა. ასევე, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა პლანშეტები;
- შსს აქტიურად იღებს მონაწილეობას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა:
    - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა პარლამენტის მიერ და ახალი რედაქციით ფუნქციონირებს 2014 წლის ივნისიდან;
    - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის

მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისთვის;

- ➢ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდებას სწორი გზებითა და საშუალებებით;
- ➢ გამომძიებლებისთვის და ოპერატიული მუშაკებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სპეციალური ოპერატიული პროცედურების (SOPs) საბოლოო სამუშაო ვერსია, რომელიც ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ეფექტიან იდენტიფიცირებას (პოტენციურ) მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფით;

- 2014 წლის მაისში არასამთავრობო ორგანიზაციის, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს, ინდივიდუალური დახმარება ქართველის მიგრანტებისთვის (G-PAM)“ პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა საინფორმაციო ბიულეტენის მესამე გამოშვება. G-PAM პროექტი, ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შსს-ს განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მრავალმხრივი მუშაობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სამართალდამცველებს პერმანენტულად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შსს აკადემიის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აკადემია ყოველწლიურად ახორციელებს ოჯახში ძალადობის საგნის სწავლებას საბაზისო კურსით;
- 2013 წლის ივლისში დაიწყო პილოტური პროექტი „პოლიციის რიგებში ოჯახში ძალადობასა და სქესობრივ ძალადობაზე მომუშავე სპეციალიზებული ჯგუფის შექმნა“. პროექტი ხორციელდება გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს პოლიციის რიგებში ოჯახში ძალადობასა და სქესობრივ ძალადობაზე მომუშავე სპეციალიზებული ჯგუფის შექმნას ამგვარ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმართვიანობისა და პოლიციის პასუხის ეფექტიანობის გაზრდის ხელშესაწყობად;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 2014 წლის 03 ივლისს გამოიცა №496 ბრძანება „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, ამავე წელს გამოიცა ბრძანება №573 „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებათა შესახებ“, რომელთა თანახმადაც საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოების თითოეულ განყოფილებაში შემავალი საუბნო სამსახურიდან გამოყოფილი იქნა 2-2 მოსამსახურე (ქალი და მამაკაცი), რომლებიც იმუშავებენ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის საკითხებზე და მათ მიენიჭათ უფლება ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემაკავებელი ორდერის გამოცემის და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება;

- სამინისტროში შეიქმნა შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელი პირებით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების ადეკვატურობას და გამოიკვლევს ოჯახის წევრთა მიერ ქალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებს, მსგავსი დანაშაულების პრევენციის მექანიზმის დახვეწის მიზნით. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა და კომპეტენცია დამტკიცდა 20/09/2014 წლის შს მინისტრის N726 ბრძანებით „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის შექმნის შესახებ“; აღნიშნული ბრძანების საფუძველზეც კომისიას დაევალა სამუშაო ჯგუფებისათვის განსაზღვრული ამოცანებისა და დავალებების შესრულების კონტროლი. კომისიის სამდივნოდ განისაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველო. აღნიშნული ვალდებულების ეფექტურად შესრულების მიზნით, კომისიის სამდივნო ყოველი თვის 10 რიცხვში იღებს ინფორმაციას რეგიონში/რაიონში ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სამდივნო საჭიროებისამებრ რეგულარულად აწვდის სამართალდამცავებს დამატებით ინფორმაციას არსებული მექანიზმებთან/სიახლეებთან დაკავშირებით და სამინისტროს უფლებამოსილ პირებთან ერთად გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს;
- ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების და ცოდნის გაღრმავების მიზნით, მიმდინარე პროექტების პარალელურად, შსს-ს თანამშრომლებისთვის 2014 წლის ივლისის თვეში დაიწყო ტრენინგების ციკლი, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. აღნიშნულ ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საუბნო განყოფილებიდან 452 უბნის ინსპექტორმა გაიარა. თითოეული განყოფილებიდან წარმოდგენილი იქნა 2 თანამშრომელი: ერთი მამაკაცი და ერთი ქალი. განსაზღვრულ უბნის ინსპექტორებს ევალებათ არა მარტო კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება, არამედ კონფლიქტური ოჯახების პერიოდული კონტროლი და საერთო ანალიზი. ამ ეტაპისთვის ტრენინგი გაიარა თბილისის მთავარი სამმართველოს 85–მა უბნის ინსპექტორმა;
- საქართველოს შს მინისტრის N1079 ბრძანებაში (შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ) შევიდა ცვლილება, რომლითაც უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს და უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის

ფორმების შევსების უფლებამოსილება მიეცა. აქამდე აღნიშნული უფლებამოსილება ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებს არ ჰქონდათ იმ ტერიტორიებზე, სადაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო არეალი იყო.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

- 2013 წელს, შსს-ს ახლადშექმნილი ანტიკორუფციული სააგენტოს აქტიური ქმედებების შედეგად, გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა კორუფციისა და სხვა სამოხელეო დანაშაულის მრავალი შემთხვევა;
- 2013 წლის მარტში, შსს-ში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, შემუშავდა საბაზისო ტრენინგ-მოდულები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში, კერძოდ ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებაში და 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ახალი სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად;
- 2014 წელს განხორციელდა შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა ტესტირება მათი ცოდნის დონის შეფასების, საჭიროებების განსაზღვრისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შემდგომი გაღრმავების მიზნით. შესაბამისად, შსს-ს აკადემიაში ჩატარდა სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი. ანტიკორუფციულ სააგენტოში (დეპარტამენტი), შსს-ს აკადემიასთან შეთანხმებით, 2014 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ოპერატიული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, საგადასახადო სამართლის და საჯარო სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების კუთხით. მითითებულ გადამზადების პროგრამაში მონაწილეობას იღებენ როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონალური სამმართველოების თანამშრომლები.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირადი შემადგენლობის პროფესიულ სწავლებას და საქმიანობის შემოწმება-კონტროლს;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით, კონტრტერორისტული ცენტრისთვის შეძენილ იქნა სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა, ასევე, სპეცტექნიკა;
- 2014 წლის დეკემბერში კონტრტერორისტულ ცენტრში, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლების მიერ, ჩატარდა

ერთკვირიანი სემინარი, რომელზეც განხილული იყო ანალიტიკური მუშაობის მეთოდები;

- გაღრმავდა კოორდინირებული მუშაობა შსს-სა და სხვა უწყებების შესაბამის სამსახურებთან (ინფორმაციის ქვემდებარეობით გადაცემა, ერთობლივი ღონისძიებების გატარება, კონტრტერორისტული მეთოდოლოგიის გაზიარება და ა.შ.);
- 2013 წლის აგვისტოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე. აღნიშნული ითვალისწინებდა ცვლილებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. სახელმძღვანელო პრინციპად აღებულ იქნა თანამედროვე ტერორიზმის პრობლემატიკა, თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურა და დამახასიათებელი ნიშნები. სწორედ მათთან დაკავშირებული გამოწვევებისადმი გარკვეული „ადაპტაციის“ მიზნით იქნა შემუშავებული აღნიშნული პროექტი;
- განხორციელებული ცვილილებები ითვალისწინებს საერთაშორისო ტერორისტული საქმიანობის დამოუკიდებელ დანაშაულად რეგლამენტაციას, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის, ამგვარი ორგანიზაციის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის, ისევე როგორც ტერორისტრულ ორგანიზაციაში წევრობისთვის გადაბირების კრიმინალიზაციას. ასევე, დასჯადი გახდა ტერორისტული მიზნით სამხედრო წვრთნა და ტერორისტული საქმიანობის ხელშეშლისათვის ზომების მიუღებლობა. გაფართოვდა ტერორიზმის დაფინანსების შესახებ მუხლის სფერო. ტერორიზმის დაფინანსებასთან ერთად დასჯადი გახდა ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერაც;
- 2014 წლის 13-20 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ სასწავლო ცენტრში ჩატარდა მოკლე სასწავლო კურსი თემაზე: ,,გლობალური უსაფრთხოება“;

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- 2012 წლის დეკემბერში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო, რომელიც მოიცავს 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტს;
- 2013 წლის მაისში შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში შეიქმნა ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილება. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კომპიუტერული ტექნიკიდან, მობილური ტელეფონებიდან და ციფრული ინფორმაციის სხვა მატარებლებიდან ინფორმაციის ამოღება, აღდგენა, გაშიფვრა და საექსპერტო ანალიზი;
- 2013 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „ეროვნული სტრატეგია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის

შესახებ“, რომლის მე-3 თავი მოიცავს კიბერდანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებებს;

- შსს-მ ასევე მოამზადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტი, რომელიც დაარეგულირებს კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ საპროცესო ღონისძიებებისა და ციფრული მტკიცებულებების გამოყენების საკითხებს;
- 2014 წლის 15-19 სექტემბერს, თბილისში, აშშ–ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო საერთაშორისო პროგრამის (DoD ICP) ფარგლებში, ჩატარდა სასწავლო კურსი „მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული კიბერდანაშაულის გამოძიება“. კურსის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეების ძირითადი უნარ–ჩვევების განვითარება, რომლებიც საჭიროა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისთვის;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა ინსტრუქციები, რომელებიც წარმოადგენს პრაქტიკული წესების ერთობლიობას ინტერნეტ რესურსებით უსაფრთხო სარგებლობის შესახებ. აღნიშნული ინსტრუქციები მოიცავს შემდეგ საკითხებს: სპამი, ფიშინგი, სახლის უკაბელო ინტერნეტ ქსელის უსაფრთხოება, ზიანის მომტანი პროგრამა, ბოტნეტი, ელექტრონული ფოსტა და უსაფრთხოება, ინფორმაცია ქვეყნის კიბერ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შსს–სა და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს ვებ-გვერდებზე განთავსდა ინფორმაცია კიბერდანაშაულის შესახებ;
- „სამართლებრივი განათლების პროგრამა საქართველოში“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ხორციელდება PH International-ის მიერ. „სამართლებრივი განათლების პროგრამის“ მხარდაჭერით შეიქმნა სამართლებრივი კულტურის გაკვეთილების კურიკულუმი და გამოიცა სახელმძღვანელოები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. მათ შორის „სამართლებრივი კულტურის საფუძვლები“ მე-7 კლასელებისთვის და „სამართლებრივი კულტურა“ მე-9 კლასელებისთვის. პროგრამა მოიცავს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული მავნე შედეგების შესახებ;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკვეთით და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, მომზადდა გადაცემათა ციკლი სახელწოდებით „იდენტიფიკაცია“, რომლის პირველი სერია მიეძღვნა კიბერდანაშაულის თემატიკას;

ხარისხიანი მომსახურების გაწევა

შსს-ს მომსახურების სააგენტო

- მომსახურების სააგენტოში დაიწყო ახალი ნიმუშის საერთაშორისო მართვის მოწმობისა და ახალი TT სერიის შიდა ტრანზიტული სანომრე ნიშნის გაცემა;
- გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (რუსთავში - დამატებით უკუსვლით და პარალელური პარკირების საგამოცდო ელემენტები; ავტომობილების დასათვალიერებელი ამწე მოწყობილობები; სატვირთო სატრანსპორტო საშუალების მისაბმელები; პნევმატური იარაღის ტყვიის სიჩქარის მზომი ქრონოგრაფები; ახალი უნიფორმები; „E“ ბლოკის შენობა რუსთავში);
- 2013 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა მომსახურების სააგენტოს ახალი დიზაინის ვებ–გვერდი (www.sagency.ge), ვებ–გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა ელექტრონული სერვისი, რომლის ამუშავება ხორციელდება ეტაპობრივად. ამასთან, ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ პერსონალურ ვებ–გვერდზე დარეგისტრირებულ მომხმარებელს საშუალება ეძლევა მოიძიოს ინფორმაცია საკუთარ სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების და გაცემული მართვის მოწმობების შესახებ, გააკეთოს განაცხადი ნასამართლობის შესახებ ცნობების მისაღებად, დაჯავშნოს სასურველი სანომრე ნიშანი და ა. შ. ;
- 2014 წლის იანვარში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გაწევრიანდა მძღოლთა ტესტირების საერთაშორისო კომისიაში - CIECA, რომელიც სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდების წესებზე დაკვირვებას ახორციელებს და საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა (გამომცდელთა) თანამედროვე სტანდარტებით გადამზადებას უზრუნველყოფს;
- 2014 წლის 1 იანვრიდან გამოცდების ჩაბარება შესაძლებელია ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოსა და ინტერპოლის საქართველოს ცენტრალური ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებულ მემორანდუმში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმად, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის, სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო დოკუმენტის დაკარგვის ან სხვა მიზეზით, შესაბამისი დოკუმენტის გაუქმებასთან დაკავშირებით;
- 2014 წლის 1 მარტიდან სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობების გაცემა დაიწყო კონკრეტული ვადებით. მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი შეცვლა ხდება მართვის უფლების მისაღები

გამოცდის ჩაბარების გარეშე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენის საფუძველზე;

- 2014 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების გაცემა, რომელიც თავისი ფორმით, შრიფტით და დამცავი მექანიზმებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;
- 2014 წლის 15 დეკემბრიდან შეიცვალა სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის ტესტები, ახალ ელექტრონულ ბილეთებში (3D) გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რის საშუალებითაც კანდიდატს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრლებისა და ქუჩების ფოტო-ვიდეო მასალა.

სსიპ „112“

- 2013 წელს განხორციელდა “112”-ის რებრენდინგი;
- განხორციელდა „112“-ის სტრუქტურული რეორგანიზაცია;
- შემუშავდა „112“-ის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია;
- გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, სამუშაო სტანდარტები და პირობები;
- „112“-ის არსებული პროგრამა დაიხვეწა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- შეიქმნა მონიტორინგის პროგრამა;
- ,,112“-ში პროგრამული შეფერხების თავიდან აცილებისთვის, 2013 წლის აგვისტოში შეიქმნა პროგრამისტთა ჯგუფი;
- “112”-ში შემოსული შეტყობინებებისთვის, ინციდენტის ტიპის უფრო ზუსტი განსაზღვრის მიზნით, დაწყებულია მუშაობა დეტალური კითხვარის შემუშავებაზე და სადისპეტჩერო პროტოკოლების პრიორიტეტების განსაზღვრის სისტემის (ProQA) დანერგვაზე. ამ მხივ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისისა და რეგიონალურ სასწრაფოსთან ერთად, რათა ერთობლივად მოხდეს აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა;
- 2013 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც გამკაცრდა სანქციები „112“-ის საგანგებო ნომრის არამიზნობრივი გამოყენებისა და ცრუ შეტყობინებების განხორციელებისთვის;
- 2014 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტმა, თბილისში, ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა;
- შეიქმნა რეგიონული სასწრაფოს ვებ-სერვისი და დაიხვეწა საშედეგო ფორმები. სისტემის გაუთვალისწინებელი დაზიანების შემთხვევაში, შემუშავდა სამოქმედო პროცედურები;
- „112“-ში ჩამოყალიბდა ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომელმაც შიდა და გარე საფრთხეების პრევენციისა და ინფორმაციის დაცვის მიზნით, შეიმუშავა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის პოლიტიკის

დოკუმენტი და განსაზღვრა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფერო;

- შემუშავდა დამოუკიდებელი სტატისტიკური მონაცემების აღმრიცხველი პროგრამის საპილოტე ვერსია;
- „112“-მა დანერგა სერვისი, რომლის საშუალებითაც მხუთავი აირის და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებიდან „112“ მყისიერად იღებს განგაშის სიგნალს;
- მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის განსაზღვრის მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა “112”-ის ინფორმირებულობის კვლევა;
- მოზარდების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა არაერთი აქტივობა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- “112” აქტიურად ჩაერთო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებულ ანტინარკოტიკულ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიებში;
- “112”-მა მასმედიის წარმომადგენლებისათვის მედიატური ჩაატარა;
- „112“ გახდა ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანიზაციის (PSCE) ინსტიტუციური წევრი;
- „112“ გახდა ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) სრულუფლებიანი წევრი;
- „112“-ის ოპერატორები სოლიდარობას უცხადებენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მოსახლეობას მოუწოდებენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკონ 112-ზე, ვიანიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები ისჯებიან კანონით.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 7 ივნისის N423 ბრძანებით ცვლილება შევიდა,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებაში, რითაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობით მიენიჭა კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების უფლებამოსილება;
- დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნისა და უფლება-მოვალეობების მინიჭების წესის განსაზღვრის მიზნით, ცვლილება განიცადა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის–დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებამ;
- ინკასაციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურად მოწესრიგების კუთხით ცვლილება შევიდა ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონების და სხვა ფასეულობათა

ინკასირების დაცვის დროებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 31 დეკემბრის N1007 ბრძანებაში;

- სამოქალაქო პირთა ზღვრული ასაკის დადგენისა და გათავისუფლების საფუძვლების განსაზღვრისათვის, დეპარტამენტის ინიციატივით ცვლილება განიცადა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებამ;
- 2013 წლის ივნისში, ქ. გორში დაცვის პოლიციას გადაეცა ახალი შენობა. შიდა ქართლში, ზესტაფონსა და სამცხე-ჯავახეთში გარემონტდა ძველი შენობები;
- 2013 წლის თებერვლიდან დაცვის პოლიციაში დაინერგა მოქნილი ტარიფების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის პოლიციის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დასრულდა პოლიციის ადმინისტრაციული სამსართულიანი შენობის მშენებლობა, სადაც განთავსდა ასევე, დაცვის პოლიციის რამოდენიმე დანაყოფის ცენტრალური აპარატი;
- დაბა ბაკურიანსა და დაბა ურეკში დასრულდა დაცვის პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა;
- განხორციელდა დაცვის პოლიციის უნიფორმის რებრენდინგი;
- დაცვის პოლიციის დანაყოფებში განახლდა კომპიუტერული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა; გაანხლდა ავტოპარკი;
- ბათუმის ბულვარის საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად შეძენილი იქნა ეკოლოგიურად სუფთა 2 ერთეული ელექტრო ავტომობილი და 2 ერთეული ელექტრო მოპედი;
- ოპერატიული რეაგირების თანამშრომლები აღიჭურვნენ პორტატული სამკერდე კამერებით. GPS მომსახურება განახლდა ახალი პროგრამული უზრუნველყოფით www.GPS.control.ge. 2014 წელს GPS-მონიტორინგის სისტემით უზრუნველყოფილ იქნა 1900-ზე მეტი ავტომანქანა;
- 2014 წელს დასრულდა ქ.თბილისის, ქ.ქუთაისისა და ქ.ბათუმის აეროპორტებში არსებული GGN - კომპიუტერული ქსელის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელითა და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების თანამედროვე ციფრული სისტემებით ჩანაცვლება;
- განხორციელდა დაცვის პოლიციის მომსახურების გადახდის სისტემის ბანკებთან ინტეგრირება;
- სამეთვალყურეო პუნქტის ეფექტიანი მუშაობისთვის, ჩაირთო 3 დამატებითი სიგნალის მიმღებ-გამაძლიერებელი და გაუმჯობესდა მისი ქსელური კავშირის ინფრასტრუქტურა;
- ცენტრალური სამეთვალყურეო პუნქტის მონაცემთა ბაზის დუბლირებისთვის, შსს „112“ - ის სასერვერო ოთახებში განთავსდა სერვერები. 2014 წელს სახანძრო განგაშებზე რეაგირების დროის ოპტიმიზაციის მიზნით, სსიპ „112“ და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტებთან შემუშავდა მოქმედების ერთიანი გეგმა;

- დეპარტამენტის შიდა ქსელის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა ანტენების უახლესი მოდელებით ჩანაცვლების პროცესი;
- 2014 წლიდან დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფს მიეცა უფლება ობიექტზე გამოცხადებისას განახორციელოს ვიდეო და აუდიო ჩაწერა;
- 2014 წელს დედაქალაქის მასშტაბით დაინერგა დაცვითი-საგანგაშო რადიო-ქსელის ფუნქციონირების მონიტორინგის AES-Intellinet-ის სისტემა;
- 2014 წელს ქ. თბილისში და აჭარის რეგიონში, ობიექტებიდან ცენტრალურ სამეთვალყურეო პულტებზე სიგნალების მიღების საიმედოობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა ელექტრონული ქსელის განახლება;
- პერმანენტულად წარმოებს კერძო დაცვითი მომსახურების ბაზრის კვლევა პროდუქციის სეგმენტაციის, ფასისა და მარკეტინგული აქტივობების მიხედვით;
- განახლდა დაცვის პოლიციის ვებ-გვერდი www.125.ge;
- ნდობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, დაცვის პოლიცია მჭიდროდ თანამშრომლობს სარეკლამო სააგენტოებთან და მედიასთან. გრძელდება სარეკლამო კამპანიების წარმოება ბეჭდვით საშუალებებში და ახალი ამბების სააგენტოებში;
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პატრონაჟით თბილისმა M1–ის ეგიდით უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს შერეულ ორთაბრძოლებში. ღონისძიებაში შსს-ს სპორტული ორთაბრძოლების კლუბის 5-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა;
- სპორტულ წარმატებას მიაღწია ასევე, შსს-ს ძიუდოს სპორტულმა კლუბმა, რომელმაც 2014 წლის დეკემბერში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა. შსს-ს სპორტული კლუბის წარმატება აქტიურად გაშუქდა მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში.

შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება

- სამაგისტრო სკოლას შეეცვალა სახელი და გახდა სამართლის სკოლა;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემია გახდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 800 ადგილით;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამას 2014 წლის 10 სექტემბერს მიენიჭა აკრედიტაცია. 2014 წლის ოქტომბრიდან სამაგისტრო პროგრამაზე გამოცხადდა სტუდენტების მიღება, სულ 50 ადგილი, ჩატარდა შიდა მისაღები გამოცდები, რომლის შედეგადაც აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა 39 სტუდენტი;
- 2014 წელს შემუშავდა სამართლის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საპოლიციო კადრის მომზადებაა. პროგრამას, აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 26 ნოემბრის N209 გადაწყვეტილებით

მიენიჭა აკრედიტაცია და 2015 წლის შემოდგომით განხორციელდება სტუდენტთა მიღება;

- შსს-ს აკადემიაში შემუშავდა ახალი პროგრამები. გადამუშავდა და გაიზარდა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო და თანამშრომლების გადამზადების პროგრამების ხანგრძლივობა; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა სასწავლო კურსები;
- აკადემიის ბიბლიოთეკა სრულიად აღიჭურვა სამაგისტრო პროგრამისათვის საჭირო ლიტერატურით. აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსდა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საიდანაც შესაძლებელია საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ლიტერატურის მოძიება. ასევე, ვებ-გვერდზე განთავსდა ელექტრონული ბიბლიოთეკა, საიდანაც მომხმარებელს წვდომა აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელზე;
- ბაკალავრების პროგრამის აკრედიტაციისათვის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი ლიტერატურით, რომელიც დაუყონებლივ იქნა ბიბლიოგრაფიულად დამუშავებული, ელექტრონულ ინტეგრირებულ პროგრამაში შეყვანილი და თვალსაჩინოების თაროებზე სილაბუსის მიხედვით განლაგებული;
- „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე აკადემიაში არსებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და შემუშავებულ იქნა ახალი სალექციო კურსები. კერძოდ, ცვლილებები განიცადა:
    1. პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალურმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
    2. უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალურმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
    3. დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალურმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
    4. წვევამდელთა სპეციალური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ (17.01.2014);
    5. პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ (17.01.2014);
    6. ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსმა (02.06.2014).
- შემუშავებულ იქნა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
    1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა. 10.04.2014;
    2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფებში თანამდებობრივი დაწინაურების კანდიდატთა სპეციალური გადამზადების კურსი. 07.04.2014;
    3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე-კონტროლიორთა სამგზავრო

დოკუმენტების მეორად ინსპექტირებაში გადამზადების კურსი. 13.01.2014;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამისინსტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სპეციალური საბუღალტრო პროგრამა „ORIS"-ის საგანმანათლებლო პროგრამა 07.03.2014;
5. მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. 05.05.2014;
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა. 03.07.2014;
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა. 28.11.2014;

- სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში დაემატა სასწავლო კურსი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქრათველოს კანონი;
- გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში და დაემატა სასწავლო კურსი საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესი და უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსი;
- შემუშავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა კავშირგაბმულობის, რადიო-ოპერატორებისა და სარადარო სისტემებში გადამზადების სასწავლო პროგრამა;
- 2013 – 2014 წლებში შსს აკადემიაში მომზადდა და გადამზადდა (მოკლე და გრძელვადიანი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში) 7032 მსმენელი;
- 2013 წლის მარტში დაარსდა მეხანძრე - მაშველთა ფაკულტეტი;
- 2013 წლის 6 მარტს აშშ-ის ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, შსს-ს აკადემიაში გაიხსნა იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი. პროექტის მიზანია საქართველოს საზღვრის დაცვაში ჩართული სუბიექტების პირადი შემადგენლობის რეალურ ვითარებასთან მიახლოებულ პირობებში სწავლება;
- 2013 წლის ივლისში პროგრამებში საცეცხლე მომზადების კომპონენტის გაზრდის მიზნით, დამატებით გაიხსნა ახალი სიმულაციური ტირი;

- შემუშავდა სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემა სტუდენტებისათვის. დასრულებულია როგორც ადმინისტრაციის online სისტემა, ასევე სტუდენტების საინფორმაციო სისტემა;
- სპეციალური მომზადების ცენტრში (უშიშროების თანამშრომელთა მომზადების ხაზით) შემუშავდა ორი ახალი სასწავლო პროგრამა და გადამუშავდა არსებული პროგრამები;
- შეიქმნა მსმენელთა ცოდნისა და უნარების შეფასების უნივერსალური, 100 ქულიანი, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა. დეტალურად გაიწერა შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2014 წლის მარტში დასრულდა პოლიციელთა ფიზიკური მომზადებისათვის არსებული ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოები;
- შსს-ს აკადემიამ უზრუნველყო სამინისტროს მასშტაბით (ოპერატიული დანაყოფები) განხორციელებული პროფესიული ტესტირებისთვის ტესტების შემუშავება, გაცემა, მიღება, ორგანიზება, შეფასება და შესაბამისი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება;

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

- საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013 წელს გააფორმა 15 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება, ხოლო 2014 წელს - 11 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება შემდეგი 5 ძირითადი მიმართულებით:
  - დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობა;
  - საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის სფეროში თანამშრომლობა;
  - საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა;
  - მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება;
  - რეადმისია.
- 2013 წლის 25 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს:
  - „სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 2001 წლის 8 ნოემბრის მეორე დამატებითი ოქმი – რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 2013 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან;
  - 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ – რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 2013 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან;
  - „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის“ 2003 წლის 15 მაისის დამატებითი ოქმი – რატიფიცირებულია საქართველოს

პარლამენტის დადგენილებით 2013 წლის 27 ივლისს, საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან.

- 2013 წლის თებერვალში საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის ფარგლებში, 2013 წლის თებერვალში, ხელი მოეწერა და ოფიციალურად დაიწყო საქართველო–სომხეთის საზღვარზე ნინოწმინდა–ბავრას სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის განხორციელება;
- 2013 წლის 7-8 ოქტომბერს საქართველოს შს მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ლუქსემბურგში გამართულ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შს მინისტრების შეხვედრაში. მინისტერიალზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ევროკომისარმა საშინაო საქმეებში სესილია მალმსტრომმა დადებითად შეაფასა საქართველოს პროგრესი სავიზო ლიბერალიზაციის პროცესში;
- თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფები. შსს მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამებთან და ბიუროებთან;
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების მიერ დაფინანსებულ პროექტებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერდანაშაული, ოჯახური ძალადობა, კორუფცია და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, სასაზღვრო პოლიციისა და კინოლოგიური სამსახურის განვითარება, ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, გენდერული თანასწორობა და სხვა;
- საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ევროკავშირისა და აშშ-ის ექსპერტების ერთობლივი შემფასებელი მისია საქართველო–თურქეთის, საქართველო–აზერბაიჯანის, საქართველო–სომხეთისა და საქართველო–რუსეთის სახელმწიფო სახმელეთო საზღვრებზე. შემფასებელი მისიის საქმიანობის შედეგად, გამოქვეყნდება საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის საჭიროებების განმსაზღვრელი ანგარიში;
- 2013 წლიდან მიმდინარეობს პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორთა თანამშრომლობა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში – პრაღის პროცესის ხელშეწყობა (SIPPAP)“. პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები არიან უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD). პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს სტრატეგიულ და ოპერაციულ თანამშრომლობას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. თანამშრომლობა მიზნად ისახავს არალეგალური მიგრაციის პრევენციასა და საზღვრის მართვის უფრო

ეფექტურ და კოორდინირებულ მართვას. პროექტის ბენეფიციარი ქვეყნები არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, ხოლო პროექტის პარტნიორი ევროკავშირის წევრი ქვეყნები: პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და ლატვია. პროექტის ფარგლებში პარტნიორი, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამართალდაცვით სასწავლო დაწესებულებებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი;

- 2014 წლის ივნისიდან ანტიტერორისტული ოპერაცია „აქტიური ძალისხმევის“ ფარგლებში ნორთვუდის ნატოს გაერთიანებული საზღვაო სარდლობის შტაბში მივლინებული იქნა სანაპირო დაცვის მეკავშირე ოფიცერი (როტაციის პრინციპით 18 თვიანი მანდატით), რაც გათვალისწინებული იყო 2010 წლის 28 აპრილის ნატო–ს ნეაპოლის საზღვაო სარდლობასა და შსს–ს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების ტაქტიკური მემორანდუმით;
- 2014 წლის სექტემბერში, უელსის სამიტზე, საქართველოსთვის მინიჭებული არსებითი პაკეტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ნატოსთან თავსებადობის ზრდას, შესაძლებელი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ნატოს თანამშრომლობის გაღრმავება;
- მომზადდა დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ახალი დოკუმენტი, შსს სხვადასხვა დანაყოფებთან (სასაზღვრო პოლიცია, საფინანსო მთავარი სამმართველო, კადრების მთავარი სამმართველო) კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა 6 ახალი პარტნიორობის მიზანი. PARP-ის ახალი დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა 22 მაისს, ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში;
- 2014 წლის 25 სექტემბერს, ნატო–ს შემფასებელთა მისიამ, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP) უწყების კომპეტენციით განსაზღვრული საკითხების შესრულების შეფასების მიზნით, სამუშაო შეხვედრები გამართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, მათ შორის შს მინისტრის მოადგილესთან. შემფასებელთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა ნატო–ს საერთაშორისო სამსახურის თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის შეიარაღებულ ძალთა განვითარების დაგეგმვის დირექტორატის უფროსი. განიხილულ იქნა ნატო–ს უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოსთვის მინიჭებული არსებითი პაკეტის განხორციელების გეგმა, აგრეთვე მიმოხილულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმების პროცესი. დადებითი შეფასება მიეცა დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის მიმდინარეობისას (PARP) და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში (ANP) შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხს;
- 2014 წელს მიმდინარეობდა რიგით მეექვსე წლიური სამოქმედო პროგრამის (ANP) შესრულება. აპრილის თვეში განხორციელდა ANP–ის ვადამდელი

შეფასება, რა დროსაც შეფასდა დოკუმენტის პოლიტიკური ნაწილი. შსს–ს მხრიდან ოკუპირებული რეგიონებისა და ბორდერიზაციის პროცესის თაობაზე მოხდა ინფორმაციის მიწოდება ნატოს ექპერტებისათვის; ამასთანავე, დასრულდა ANP-ის გეგმიური შეფასება: მომზადდა შსს–ს თვითშეფასების ანგარიში, რომელიც გადაეგზავნა სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში;

- 2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეწვია ნატო-ს წლიური ეროვნული პროგრამის შემფასებელ ექსპერტთა ჯგუფი. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს შსს-ს კომპეტენციაში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხები და თანამშრომლობის ახალი გზები. ექსპერტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში და სასაზღვრო პოლიციაში მიმდინარე რეფორმებმა;
- 2013 წლის 30 იანვარს ქ. ტალინში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოქმს;
- 2013 წლის 14 მარტს ქ. ლიონში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ინტერპოლს (ინტერპოლი) შორის ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტის აღიარების შესახებ“ შეთანხმებას;
- 2013 წლის 8 მაისს ქ. იერუსალიმში ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს საშინაო ფრონტალური დაცვის სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო დაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- 2013 წლის 11 ივლისს ქ. ვენაში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავობასა და ავსტრიის ფედერალურ მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“ ოქმს;
- 2013 წლის 1 აგვისტოს ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების, შეზღუდვის და შემსუბუქების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2013 წლის 5 სექტემბერს ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ბენილუქსის სახელმწიფოებს (ბელგიის სამეფო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ნიდერლანდების სამეფო) შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“ ოქმს;
- 2013 წლის 23 სექტემბერს ქ. რიგაში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოქმს;

- 2013 წლის 26 სექტემბერს ქ. ვილნიუსში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2013 წლის 26 სექტემბერს ქ. ვილნიუსში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმებას;
- 2013 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საჯარო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2013 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ეროვნული პასპორტების მფლობელების ვიზისგან გათავისუფლების შესახებ“ შეთანხმებას;
- 2013 წლის 18 დეკემბერს ქ. მადრიდში, ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“; აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ნოემბერს;
- 2014 წლის 24 იანვარს, ქ. ლონდონში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სააგენტოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- 2014 წ. 11 მარტს ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების სფეროში ორმხრივი პარტნიორული თანამშრომლობის გაღრმავებას. შეხვედრაზე, ასევე ხელი მოეწერა „საქართველო-ბელარუსის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის“ დებულებას;
- 2014 წლის 14 მარტს ქ. თბილისში, ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“;
- 2014 წლის 27 მარტს ქ. თბილისში, ხელი მოეწერა ოქმს „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“; აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ნოემბერს;

- 2014 წლის 19 ივნისს ქ. თბილისში, ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“;
- 2014 წლის 9 ივლისს ქ. ბერლინში, ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- 2014 წლის აგვისტოს თვეში დაიწყო ევროკავშირთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ინიცირების პროცესი;
- 2014 წლის აგვისტოს თვეში დაიწყო ევროპოლთან სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ინიცირების პროცესი;
- 2014 წლის 6 ოქტომბერს ქ. კიშინიოვში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2014 წლის 6 ოქტომბერს ქ. კიშინიოვში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ საიმპლემენტაციო ოქმს;
- 2014 წლის 11 ნოემბერს ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას; დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #717 დადგენილებით; შეთანხმება ძალაში შევა დანიის მხარის მიერ მისი ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ;
- 2014 წლის 1 დეკემბერს ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ 2009 წლის 26 ნოემბერს ქ. პარიზში ხელმოწერილი შეთანხმება;
- 2014 წლის 1 დეკემბერს ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2014 წლის 30 მაისს ქ. თბილისში ხელმოწერილი შეთანხმება;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია მოახდინა 2014 წლის 18 ივლისს. ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლამდე, შეთანხმებით აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციის დაჩქარების მიზნით შემუშავდა „ასოცირების დღის წესრიგი“, რომელიც წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის სამოქმედო გეგმას 2014-2016 წლებისთვის;
- მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა,

აღნიშნულ პროცესში შსს-ს შესაბამის დანაყოფებთან კონსულტაციების შედეგად მოხდა იმ აქტივობების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელებაც დაიწყო ან იგეგმება 2014 წლის განმავლობაში. 2014 წლის დეკემბერში მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აღნიშნულ პროცესში ჩართული შსს-ს შესაბამისი დანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორცილების მიზნით შსს-ს შესაბამის დანაყოფებთან კონსულტაციების შედეგად მოხდა იმ აქტივობების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელებაც დაიწყო ან იგეგმება 2015 წლის განმავლობაში. ასევე, შემუშავდა 2015 წელს დაგეგმილი აქტივობების შედეგებისა და შეფასების ინდიკატორის ამსახველი დოკუმენტი, აღნიშნულ პროცესში შსს–ს შესაბამის დანაყოფებთან კონსულტაციის საფუძველზე, განისაზღვრა 2015 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები, მათი მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. 2015 წლის 1 მაისის მდგომარეობით მომზადდა 2015 წლის ეროვნული გეგმის შესრულების კვარტალური ანგარიში. ამავდროულად საეთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ჩართულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული მთარგმნელობითი საქმიანობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში, რომელსაც კოორდინაციას უწევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა;

- სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასების მიზნით, 2014 წლის 31 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით განხორციელდა ევროკომისიის მიერ დაქირავებულ დამოუკიდებელ ექსპერტთა შემფასებელი მისია. მისიის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებთან შემდეგ საკითხებზე: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კორუფციასთან ბრძოლა, პოლიციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა საკითხებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე გადავიდა სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებების აქტიურ იმპლემენტაციაზე. აღნიშნული მიმართულებით გამოცდილების გაზიარებისა და განსახორციელებელი გეგმის დასახვის მიზნით, 2014 წლის აგვისტოში განხორციელდა ვიზიტი მოლდოვის რესპუბლიკაში;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების თაობაზე“ შს მინისტრის 2014 წლის 5 სექტემბრის #681

ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა თითოეული დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობების სია და სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, ამავე ბრძანებით შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი განისაზღვრა სამინისტროში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორცილების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ დანაყოფად;

- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ, შსს შესაბამისი დანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მომზადდა ევროკომისიისთვის წარსადგენი ორი შუალედური ანგარიში (2014 წლის დეკემბერი, 2015 წლის აპრილი) სამინისტროში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების პროგრესის შესახებ;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) ფარგლებში 2014 წლის 10 დეკემბერს, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის საკითხებზე კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციაზე სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხორციელების პროცესი განიხილეს. შს სამინისტროს წარმომადგენლებმა შსს-ს მიერ მიგრაციის დეპარტამენტის, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, პერსონალური მონაცემების დაცვისა და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით გატარებული რეფორმების შესახებ პრეზენტაცია წარადგინეს;
- საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ინიციატივით/ორგანიზებით, „სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“ მემორანდუმის ფარგლებში, 2014 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა VLAP-ის მეორე ფაზის იმპლემენტაციის შემფასებელი ევროკავშირის ექსპერტთა ვიზიტებისთვის მოსამზადებელი მოკლევადიანი ტრეინინგ–კურსები. აღნიშნული კურსები გაიარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა. სამართალდაცვითი სფეროს წარმომადგენლებს ტრენინგები ჩაუტარდათ VLAP-ით გათვალისწინებულ შემდეგ თემებზე: ორგანიზებული დანაშუალის, ტერორიზმი, ტრეფიკინგი, კორუფცია, ნარკოტიკები, კიბერდანაშაული, სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, არალეგალური მიგრაცია, ა.შ.;
- ევროკომისიისთვის წარდგენის მიზნით 2014 წლის ივლისში შემუშავდა დოკუმენტი „საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების

შემთხვევაში მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროში შესაძლო გავლენების შეფასება“, რომელიც ითვალისწინებს სტატისტიკურ და სხვა შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით რისკების ანალიზის შეფასებას;

- 2014 წლის 6 მაისს ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის #2009/935/JHA გადაწყვეტილებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველო დაემატა იმ მესამე ქვეყნებისა და ორგანიზაციების სიას, რომელთანაც ევროპის პოლიციის სამსახურმა (EUROPOL) უნდა გააფორმოს თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება. 2014 წლის 15 ივლისს EUROPOL–ის დირექტორმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს ელჩს ნიდერლანდების სამეფოში, რომელშიც გამოხატავდა მზადყოფნას თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმების პროცედურების დასაწყებად. EUROPOL–ის მოთხოვნის თანახმად, საქართველომ გამოყო საკონტაქტო პირები, რომლებიც საქართველოს მხრიდან კოორდინირებას გაუწევენ შეთანხმების გაფორმების პროცესს. ერთ–ერთ საკონტაქტო უწყებად დასახელდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, სადაც ამ კუთხით კოორდინაციას ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. 2014 წლის 7 აგვისტოს და 7 ნოემბერს EUROPOL–ის წარმომადგენლებსა და ნომინირებულ პირებს შორის ჩატარდა ვიდეო–კონფერენციები, სადაც მხარეებმა განიხილეს და შეთანხმდნენ მოლაპარაკების პროცესის შემდგომ ნაბიჯებზე. 2014 წლის მეორე ნახევარში ქართული მხარის მიერ მომზადდა პასუხი 2 კითხვარზე პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესახებ არსებულ რეგულაციებზე;

სოციალური კამპანიები

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური სერიალი „იდენტიფიკაცია“ 2014 წლის 10 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით ყოველ შაბათს ტელეარხ „იმედის“ ეთერში გადიოდა. თითოეული ფილმი ეყრდნობოდა რეალურ ფაქტებს და ასახავდა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფის საქმიანობას; ტელეკომპანია „იმედზე“ აგვისტოს თვიდან კვირაში ერთხელ დაიწყო სერიალ „იდენტიფიკაციის“ გამეორება.
- 2014 წლის მარტიდან ივნისის თვემდე „ავტორადიო“-ს ეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“. საზოგადოებისთვის აქტუალურ სხვადასხვა თემაზე მიძღვნილ თითოეულ გადაცემაში, პირდაპირ ეთერში, შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პირები საუბრობდნენ კონკრეტულ თემაზე და ამომწურავ პასუხებს სცემდნენ მოსახლეობის მიერ პირდაპირ ეთერში მათთვის დასმულ კითხვებს. პირველი გადაცემა ეხებოდა შსს-ს მიერ დაწყებულ კამპანიას, რომელიც ე.წ. „ბიო“-ს წინააღმდეგ იყო მიმართული. გადაცემა გამოირჩეოდა მაღალი რეიტინგით, სულ მომზადდა 14 გადაცემა; ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“ „ავტორადიოს“ ეთერში 1 ოქტომბრიდან განახლდა და 2014 წლის ბოლომდე გადიოდა ეთერში;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განახორციელა შემდეგი სოციალური კამპანიები:
  - „არ დაჯდე საჭესთან ნასვამი“ – სოციალური კამპანიის მიზანი იყო ნასვამი მძღოლების მიერ ავტომანქანის მართვის პრევენცია ასევე, საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს უქმნის ნასვამი მძღოლი საკუთარ თავსა და გვერდით მყოფ ადამიანებს. სოციალური კამპანია „არ დაჯდე საჭესთან ნასვამი“-ს ფარგლებში მომზადდა ვიდეორგოლები, რომლებიც სატელევიზიო ეთერებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა. სოციალურ ქსელში ჩატარდა კონკურსი და გამოვლინდნენ გამარჯვებულები;
- „შეიკარი ღვედი“ – სოციალური კამპანია დაიწყო 2014 წლის 10 თებერვალს და დასრულდა 6 მარტს. სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ჩატარდა კონკურსი „საუკეთესო ფოტოს“, „საუკეთესო დიზაინის“ და „საუკეთესო სლოგანის“ გამოსავლენად; შს სამინისტრომ ე.წ. „ბიოს“ მოხმარების წინააღმდეგ მიმართული ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო კამპანია განახორციელა, რომელიც 2014 წლის 24 მარტს დაიწყო. კამპანიის მიზანი იყო ე. წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირება. კამპანიის სლოგანი იყო „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. კამპანიის ფარგლებში გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმებმა მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება. საინფორმაციო რგოლები ტელე-რადიოეთერში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელში განთავსდა;
- შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა „112“-მა, ასევე მოამზადა საინფორმაციო რგოლი, რომლის მეშვეობით საზოგადოებამ იმ პირველადი სიმპტომების შესახებ შეიტყო, რაც ე.წ. „ბიოს“ მოხმარებას ახასიათებს და აღნიშნული სიმპტომების შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების გამოძახების აუცილებლობაზე იღებდა ინფორმაციას. აპრილის თვიდან სასწავლო წლის დასრულებამდე, აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, საქართველოს ყველა რეგიონის სკოლაში გაიმართა შსს-ს წარმომადგენლების შეხვედრები სკოლის უფროსკლასელებთან. შსს-ს წარმომადგენლებმა მათ ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარების წინააღმდეგ მიმართული კამპანია გააცნეს და ამ თემასთან დაკავშირებით მოზარდების კითხვებს უპასუხეს. შსს-ს წარმომადგენლებმა მოსწავლეებს კამპანიის ფარგლებში გადაღებული საინფორმაციო ვიდეორგოლები აჩვენეს;
- 12 მაისს გაიმართა ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ჟურნალისტების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება;
- ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ სოციალური კამპანია „ძალადობა ისჯება კანონით“ დაიწყო 2014 წლის ნოემბრიდან. საქართველოს წამყვან ტელეარხებზე გადის საკომუნიკაციო-საინფორმაციო ვიდეორგოლი.